

განათლებისა და განვითარების პროგრამა

*გეოგრაფიული უთანასწორობა საქართველოს უმაღლეს  
სასწავლებლებში მიღებისას: პრესტიჟული უმაღლესი  
სასწავლებლების არჩევისა და სასწავლებლებში ჩარიცხვის ალბათობა*

დოქტორი მაია ჩანქსელიანი

ასოცირებული მკვლევარი

## შინაარსი

შესავალი .....	3
მეთოდოლოგია.....	8
შედეგები .....	11
უმაღლესი სასწავლებლების არჩევა .....	11
უნივერსიტეტებში მოხვედრა.....	25
დასკვნა.....	32
ავტორის შესახებ .....	34
ბიბლიოგრაფია .....	35
დანართები.....	40
დანართი 1. უმაღლესი განათლების დაწესებულებების განაწილება საქართველოში .....	40
დანართი 2. საქართველოში სიღარიბის განაწილების რუკა.....	41
დანართი 3. სიღარიბის ზღვარის და უნივერსიტეტებში ჩარიცხვის თანფარდობის მარტივი რეგრესიული ანალიზი .....	42
დანართი 4. ურბანული ტერიტორიების კატეგორიზაცია: დედაქალაქი, დიდი ქალაქები, პატარა ქალაქები.....	43

## შესავალი

სტატიაში განხილულია საქართველოში აბიტურიენტთა გეოგრაფიული წარმოშობის, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის პირველ არჩევნად დასახელებისა და კონკრეტულ უნივერსიტეტებში მოხვედრის ურთიერთდამოკიდებულება. წინამდებარე კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ მონაცემებს დაახლოებით 118 000 აბიტურიენტზე, რომლებიც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აბარებდნენ 2006-2009 წლებში. კვლევაში ასევე გამოყენებულია განათლების სისტემაში მომუშავე მაღალჩინოსნებთან და სოფლის მაცხოვრებლებთან ინტერვიუების საშუალებით შეგროვებული მასალა.

კვლევის მიზანია, დაადგინოს, ერთის მხრივ, კავშირი აბიტურიენტის წარმოშობის ადგილსა და უმაღლესი სასწავლებლის არჩევას შორის და, მეორეს მხრივ, კავშირი აბიტურიენტის წარმოშობის ადგილსა და პრესტიჟულ სასწავლებელში მოხვედრის ალბათობას შორის. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ აბიტურიენტები, რომლებიც საქართველოში სოფლის სკოლებს ამთავრებენ, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უფრო ხშირად ასახელებენ ნაკლებად პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებს პირველ არჩევნად და უფრო დიდი ალბათობით ხვდებიან ნაკლებად პრესტიჟულ სასწავლებლებში, ვიდრე ისინი, ვინც ქალაქში ამთავრებენ სკოლებს.

სხვადასხვა ქვეყანაში აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებლებს სხვადასხვა ეტაპზე ირჩევენ. მაგალითად, ჩინეთში აბიტურიენტები მხოლოდ მისაღები გამოცდების ჩაბარებისა და სწორი პასუხების გაგების შემდეგ ასახელებენ სასურველ სასწავლებლებს. ასეთი თანმიმდევრობა საშუალებას აძლევს აბიტურიენტებს, უფრო ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღონ, რადგან უკვე იციან, თუ დაახლოებით რა შეფასებას უნდა ელოდნენ მისაღებ გამოცდებზე (Liu et al., 2011).

საქართველოში აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებლებსა და სასურველ პროგრამებს მისაღები გამოცდების ჩაბარებამდე ირჩევენ. აბიტურიენტი ხვდება ერთი კონკრეტული სასწავლებლის ერთ პროგრამაზე იმის მიხედვით, თუ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რა ქულებს დააგროვებს.

საერთაშორისო კვლევები გვიჩვენებს, რომ უმაღლესი სასწავლებლის ხარისხი/პრესტიჟულობა მჭირდოდ უკავშირდება მისი დამთავრების მაღალ ალბათობას, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელებასა და მაღალ ანაზღაურებას. შესაბამისად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ თუ

საქართველოში სოფლის მაცხოვრებლები ირჩევენ და ხვდებიან ნაკლებად ხარისხიან სასწავლებლებში, მათ ქალაქელ სტუდენტებთან შედარებით ნაკლები შანსი აქვთ ისარგებლონ პრესტიჟული უმაღლესი განათლების სიკეთეებით. სხვადასხვა ქვეყნებში უმაღლესი სასწავლებლების არჩევის პრაქტიკა საფუძვლიანად არ არის შესწავლილი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საერთოდ არ არსებობს კვლევები რომლებიც შეისწავლის უნივერსიტეტების არჩევის პრაქტიკას საქართველოში (ცხრილი 1).

ცხრილი 1. ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება უნივერსიტეტის არჩევას საქართველოსა და მსოფლიოში

ფაქტორები	ქართული კონტექსტი	საერთაშორისო კონტექსტი
უმაღლესი სასწავლებლის რეპუტაცია/ხარისხი		(Avery & Hoxby, 2003; Briggs, 2006; Connor, Burton, Pearson, Pollard, & Regan, 1999; Hawkins et al., 2008; R. James et al., 1999; Moogan & Baron, 2003; Price, Matzdorf, Smith, & Agahi, 2003; Whitehead, Raffan, & Deaney, 2006)
სასურველი სასწავლო პროგრამის არსებობა		(Connor et al., 1999; R. James et al., 1999; Maringe, 2006; Price et al., 2003; Whitehead et al., 2006)
მანძილი უმაღლეს სასწავლებლამდე		(Briggs, 2006; Griffith & Rothstein, 2009; Hawkins et al., 2008; R. James et al., 1999; OECD & World Bank, 2009; Turley, 2009)
შრომის ბაზრის მოთხოვნები/დასაქმების შანსები		(R. James et al., 1999; Maringe, 2006)
აბიტურიენტის ოჯახის შემოსავალი		(Avery & Hoxby, 2003; Hawkins et al., 2008; Sutton Trust, 2008)
სწავლის		(Avery & Hoxby, 2003; Maringe, 2006; McPherson &

საფასური/ფინანსური დახმარების არსებობა	Schapiro, 1998; Mullen, 2010)
--	-------------------------------

უმაღლესი სასწავლებლის არჩევის პროცესს ხშირად განიხილავენ როგორც მომხმარებლის მიერ არჩევის გაკეთების ერთ-ერთ ნაირსახეობას. ლიტერატურა გვიჩვენებს, რომ ეს პროცესი საკმაოდ რთულია და მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებას მოითხოვს. მეცნიერების მიერ მიმოხილულ მიზეზებს თუ გადავხედავთ (ცხრილი 1), ყველაზე გამოკვეთილი ფაქტორებია უმაღლესი სასწავლებლის რეპუტაცია, სასურველი სასწავლო პროგრამის არსებობა, მანძილი უნივერსიტეტამდე და სწავლის საფასური.

მანძილი უნივერსიტეტამდე ის ფაქტორია, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის არჩევაზე ახდენს გავლენას. დაბალი შემოსავლის მქონე აბიტურიენტები იძულებული არიან, მათ საცხოვრებელთან შედარებით ახლოს მდებარე უნივერსიტეტები აირჩიონ. Turley (2009) უნივერსიტეტების სიახლოვეს იმ უმაღლეს სასწავლებელთან რიცხვით ზომავს, რომლებიც პოტენციური აბიტურიენტისგან ფიზიკურად ადვილად მისადგომია. აღმოჩნდა, რომ დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის უნივერსიტეტის სიახლოვეს ცხოვრება უფრო მეტად უკავშირდება მდებარე სასწავლებელში ჩაბარებას. ზოგადად, სასწავლებლამდე მანძილი მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება სოფელში მცხოვრები აბიტურიენტებისთვის, რადგანაც მათ სახლიდან შორს სწავლის უფრო ნაკლები ფინანსური შესაძლებლობა აქვთ (OECD & World Bank, 2009). ვინაიდან საქართველოში ყველა უნივერსიტეტი ქალაქშია (დანართი 1), ქალაქელ აბიტურიენტებს არსებითად მეტი არჩევანი აქვთ, ვიდრე სოფელში მაცხოვრებლებს.

უმაღლესი სასწავლებლის არჩევისას ყურადღება ექცევა უნივერსიტეტის ხარისხსაც. სამეცნიერო ლიტერატურაში უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის კრიტერიუმად ხშირად გამოიყენება გათვლილი ხარჯები (თითოეულ სტუდენტზე გათვალისწინებული დანახარჯები ან პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასები) ან სასწავლებლის სტუდენტების ხარისხი. ეს უკანასკნელი გამოიხატება სტუდენტების აკადემიურ მოსწრებაში და/ან მისაღებ გამოცდებში მიღებულ ქულებში (Black & Smith, 2004). სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ ეთნიკური უმცირესობები და სოფლის მაცხოვრებლები ხშირად უთანასწოროდ არიან წარმოდგენილნი იმ უნივერსიტეტებში, რომლებიც მაღალ ქულებს მოითხოვენ და ითვლებიან პრესტიჟულ, სელექციურ, მაღალხარისხიან სასწავლებლებად (Carnevale & Rose, 2003; Chevalier & Conlon, 2003; OECD, 2008; Yang, 2010).

ზოგი კვლევა უნივერსიტეტების სელექციურობას ერთ-ერთ ცვლადად წარმოგვიდგენს, როდესაც საქმე უმაღლესი სასწავლებლების არჩევისა და მანძილის ურთიერთკავშირს ეხება. გრიფიტი და როთშტაინი (2009) ბივარიაციული პრობიტ ანალიზით (bivariate probit analysis) აჩვენებენ, რომ მაშინაც კი როცა შემოსავალი და აბიტურიენტთა სხვა მახასიათებლები მსგავსია, სელექციურ უნივერსიტეტამდე დისტანციის ზრდასთან ერთად, სასწავლებელში ჩაბარების ალბათობა მცირდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სელექციურ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას გარკვეული უპირატესობები ახლავს თან, მათ შორის: სწავლის დასრულების მაღალი ალბათობა, სწავლის გაგრძელების მაღალი ალბათობა, მაღალანაზღაურებადი სამსახური (Brand & Halaby, 2006; Carnevale & Rose, 2003; Chevalier & Conlon, 2003; Monks, 2000; Morley & Aynsley, 2007; Rivera, 2011). შედარებით სელექციური<sup>1</sup> უნივერსიტეტის სტუდენტები სასწავლებლის დროულად დასრულების გაცილებით მაღალი ალბათობით გამოირჩევიან, ვიდრე ნაკლებად სელექციური უნივერსიტეტის სტუდენტები; წამყვან უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტების 86 პროცენტი დროულად ამთავრებს სასწავლო პროგრამას, მაშინ როცა ყველაზე დაბალი რანგის უნივერსიტეტებში - მხოლოდ 54 პროცენტი (Carnevale & Rose, 2003). შედეგები არ იცვლება მაშინაც კი, როცა ვითვალისწინებთ სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას. მეცნიერებს უჭირთ ასეთ შედეგს ემპირიული ახსნა მოუძებნონ - რა უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ერთნაირი ქულების მქონე სტუდენტები გაცილებით დიდი ალბათობით ამთავრებენ დროულად წამყვან უნივერსიტეტებს, ვიდრე დაბალი რანგის უნივერსიტეტებს? არსებობს რამდენიმე სავარაუდო პასუხი ამ შეკითხვაზე. წამყვან უნივერსიტეტებს შესაძლოა უფრო მაღალი მოლოდინები აქვთ საკუთარი სტუდენტების აკადემიური მოსწრების მიმართ და/ან ისეთ სტუდენტებს იზიდავენ, ვისაც საკუთარი აკადემიური მოსწრების მიმართ აქვთ მეტი მოლოდინი. უფრო მეტიც, უფრო სელექციურ და პრესტიჟულ სასწავლებლებს შესაძლოა ჰქონდეთ უფრო უკეთესი პირობები, რომ სტუდენტებს სწავლის პროცესში სათანადო დახმარება აღმოუჩინონ (Carnevale & Rose, 2003).

ამერიკის შეერთებულ შტატებში სელექციური უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები გაცილებით ხშირად აგრძელებენ სწავლას უფრო მაღალ

---

<sup>1</sup> სტატია კოლეჯების ~~მომხივრობის~~ სელექციურობის კლასიფიკაციის ბარონისეულ (Barron) კრიტერიუმებს ეფუძნება: SAT I-ის ან ACT-ს მისაღები გამოცდის მედიანურ ქულას; სტუდენტების რანგს საშუალო სკოლაში, სტუდენტების აკადემიური მოსწრების საშუალოს და ჩარიცხული სტუდენტების პროპორციულ რაოდენობას (Carnevale & Rose, 2003). ეს კრიტერიუმები ძირითადად სტუდენტის აკადემიურ მოსწრებას უკავშირდება, ისევე როგორც პრესტიჟულობის კრიტერიუმი წინამდებარე კვლევაში.

საფეხურზე, ვიდრე ნაკლებად მომთხოვნი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები; სწავლის გაგრძელებას ახერხებს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა 35 პროცენტი, ხოლო დაბალი რანგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მხოლოდ 15 პროცენტი (Carnevale & Rose, 2003). იგივე შედეგია სახეზე, როცა ანალიზის დროს სტუდენტების SAT ქულების კონტროლი ხდება.

შემოსავლების შესახებ ლიტერატურა გვიჩვენებს, რომ აკადემიური კვალიფიკაციის გათვალისწინებით, მაღალი სელექციურ უნივერსიტეტებში სწავლა 5-20 პროცენტით მაღალ ხელფასთან ასოცირდება ამერიკის შეერთებულ შტატებში (Carnevale & Rose, 2003). მსგავსია დიდი ბრიტანეთის მონაცემებიც; საშუალო შემოსავალი აქაც განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა ტიპის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული ადამიანს - პრესტიჟული უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები 2-დან 17 პროცენტამდე უფრო მაღალი შემოსავლით გამოირჩევიან, ვიდრე ნაკლებად პრესტიჟული სასწავლებლების კურსდამთავრებულები (Chevalier & Conlon, 2003). ჩინეთში, რომელიც განვითარებადი ქვეყანაა და საქართველოს მსგავსი მისაღები გამოცდების სისტემა აქვს, ელიტური უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები საშუალოდ 22.3 პროცენტით მაღალ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე ნაკლებ პრესტიჟული უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები (Hongbin, Meng, Shi, & Wu, 2011). კავშირი პრესტიჟული უნივერსიტეტის დამთავრებასა და შედარებით მაღალ ანაზღაურებას შორის შეიძლება განპირობებული იყოს სელექციურ სასწავლებელში არსებული უფრო მაღალი სწავლის ხარისხით, ისევე როგორც ასეთ სასწავლებლებში დამყარებული პროფესიული კავშირებით (network effect) (Chevalier & Conlon, 2003).

უმაღლესი სასწავლებლის არჩევას აბიტურიენტები ასევე ითვალისწინებენ შემდეგ ფაქტორებს: სწავლის საფასური/ფინანსური დახმარების არსებობა (Avery & Hoxby, 2003; McPherson & Schapiro, 1998; Mullen, 2010), უნივერსიტეტის ფიზიკური ხელმისაწვდომობა (James, Baldwin, & McInnis, 1999), უნივერსიტეტის ხარისხი, სასურველი სასწავლო პროგრამის არსებობა (James et al., 1999), სასწავლებლის კურსდამთავრებულების დასაქმების ალბათობა (თუმცა აბიტურიენტების უმრავლესობას ამ სტატისტიკაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს) (James et al., 1999; Maringe, 2006). არიან ისეთი აბიტურიენტებიც, ვისთვისაც კონკრეტულ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონკრეტული სასწავლო პროგრამის არსებობა; მათთვის არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომელ პროგრამაზე მოხვდებიან, მთავარია მოხვდნენ სასურველ უნივერსიტეტში (James et al., 1999).

## მეთოდოლოგია

შერეული მეთოდების (mixed methods) გამოყენება რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების დაკავშირების საშუალებას იძლევა. წინამდებარე კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ მონაცემებს დაახლოებით 118 000 აბიტურიენტზე, რომლებიც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აბარებდნენ 2006-2009 წლებში. კვლევაში ასევე გამოყენებულია განათლების სისტემაში მომუშავე მაღალჩინოსნებთან და სოფლის მაცხოვრებლებთან ინტერვიუების საშუალებით შეგროვებული მასალა. ინტერვიუები ჩატარდა 2010 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე 16 ოჯახთან ქიათურის, ხონის, ხულოსა და ონის რაიონებში. კვლევის მიზანია, დაადგინოს, ერთის მხრივ, კავშირი აბიტურიენტის წარმოშობის ადგილსა და უმაღლესი სასწავლებლის არჩევას შორის და, მეორეს მხრივ, კავშირი აბიტურიენტის წარმოშობის ადგილსა და პრესტიჟულ სასწავლებელში მოხვედრის ალბათობას შორის.

რაოდენობრივ მონაცემთა ძირითად წყაროს წარმოადგენს 2006-2009 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების ბაზა. ამასთანავე, საჭირო რაოდენობრივი მონაცემები მოპოვებულ იქნა სოციალური მომსახურების სააგენტოდან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან და საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურიდან. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გაანალიზდა მნიშვნელოვანი სამთავრობო დოკუმენტები.

რაოდენობრივი ანალიზისას გამოყენებული ძირითადი ცვლადებია აბიტურიენტთა გეოგრაფიული წარმოშობა და უმაღლესი სასწავლებლის პრესტიჟულობა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, პრესტიჟულობა ზომავს უნივერსიტეტის სელექციურობას და ეფუძნება სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტების მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებში დაგროვილ საშუალო ქულებს. უნივერსიტეტების რანჟირებისათვის დაჯამდა თითოეული აბიტურიენტის მიერ სამივე სავალდებულო გამოცდაში მიღებული ქულა და გამოანგარიშებულ იქნა თითოეული უმაღლესი სასწავლებლისათვის საშუალო ქულათა ჯამი. შემდეგ მოხდა ამ საშუალო ქულების რანჟირება და დადგინდა სასწავლებელთა ხუთი კატეგორია: ყველაზე არაპრესტიჟული (მე-20 პროცენტის ქვემოთ), არც თუ ისე პრესტიჟული (მე-20-დან მე-40 პროცენტისამდე), საშუალოდ პრესტიჟული (მე-40-დან მე-60 პროცენტისამდე), პრესტიჟული (მე-60-დან მე-80 პროცენტისამდე), და ყველაზე პრესტიჟული (მე-80 პროცენტის ზემოთ).



აბიტურიენტის გეოგრაფიული წარმოშობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ სად დაამთავრა აბიტურიენტმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. ეს ცვლადი ეფუძნება ორ წყაროს: ერთიანი ეროვნული გამოცდების მონაცემებს იმ საშუალო სკოლის შესახებ, რომელიც თითოეულმა აბიტურიენტმა დაამთავრა (NAEC, 2009a) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ (MES, 2009).

სტატისტიკური ანალიზის პროცესში გამოყენებულ იქნა აბიტურიენტთა გეოგრაფიული წარმოშობის ამსახველი ხუთკატეგორიანი, სამკატეგორიანი და ორკატეგორიანი ცვლადები. ორკატეგორიანი ცვლადი აბიტურიენტების კატეგორიზაციას სოფლის ან ქალაქის მაცხოვრებლებად ახდენს. სამკატეგორიანი ცვლადი განასხვავებს აბიტურიენტებს დედაქალაქიდან და მაღალმთიანი სოფლებიდან, ხოლო დანარჩენები შუა კატეგორიაში ექცევიან. ხუთკატეგორიანი ცვლადი აბიტურიენტების კლასიფიცირებას უფრო დეტალურად ახდენს; გამოიყოფა აბიტურიენტები მაღალმთიანი სოფლებიდან, სოფლებიდან, პატარა ქალაქებიდან/დაბეებიდან, დიდი ქალაქებიდან და დედაქალაქიდან. კატეგორიზაციის პროცესი ეფუძნება საქართველოს მთავრობის მიერ სკოლების კლასიფიკაციას ადგილმდებარეობის მიხედვით: ქალაქების, სოფლების და მაღალმთიანი სოფლების სკოლები. ეს კატეგორიები დადგინდა სკოლების დაფინანსების განაწილების მიზნით. წინამდებარე კვლევაში გამოყენებული ორი კატეგორია - სოფლის და მაღალმთიანი სოფლის - ზუსტად შეესაბამება მთავრობის მიერ დადგენილ კლასიფიკაციას. გაცილებით რთული აღმოჩნდა ქალაქის კატეგორიაში მოხვედრილი სკოლების დაყოფა დედაქალაქის, დიდი ქალაქებისა და პატარა ქალაქების/დაბეების სკოლებად. ქალაქის სკოლების ამ სამ კატეგორიად დაყოფა გადავწყვიტე მეტი სიზუსტისათვის. თუმცა დედაქალაქის გამორჩევა საკმაოდ ადვილია, პატარა და დიდი ქალაქების ერთმანეთისაგან გასამიჯნად აუცილებელი იყო, ამ ორ ურბანული ტიპის დიფერენციაცია. გამოყენებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ყოველწლიური მონაცემები (GeoStat, 2009) დიდი ქალაქების სხვა ქალაქებისგან გამიჯვნის მიზნით. მოხდა ყველა ურბანული ცენტრის რანჟირება მაცხოვრებელთა რაოდენობის მიხედვით (დანართი 4). 53 ურბანული ცენტრიდან 47 000-ზე მეტი მოსახლით ექვსი ყველაზე მოზრდილი ქალაქი გამოიყო (ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ზუგდიდი, გორი, ფოთი). დანარჩენი ქალაქები პატარა ქალაქების კატეგორიაში მოთავსდა.

მიჯნად აღებულ იქნა 47 000 მოსახლე, რაც საკმაოდ ლოგიკურია თუ ქვეყნის სოციო-დემოგრაფიულ და ეკონომიკურ მონაცემებს გავითვალისწინებთ. ასევე განსხვავება ყველაზე ნაკლები რაოდენობის მოსახლის მქონე დიდ ქალაქსა (ფოთი 47 500 მოსახლით) და ყველაზე მეტი მოსახლეობის მქონე პატარა ქალაქს (სამტრედია 29 600 მოსახლით) შორის პროპორციულად გაცილებით მეტია, ვიდრე განსხვავება სკალაზე მიყოლებით მდებარე რომელიმე სხვა ქალაქს შორის სამტრედიის ქვემოთ (დანართი 4).

გეორგაფიული ადგილმდებარეობა რთული, მრავალგანზომილებიანი ცნებაა (multidimensional construct); ის განსხვავებულ თემცა ურთიერთდაკავშირებულ განზომილებებს ეხება, რომლებიც ამ შემთხვევაში ერთ თეორიულ ცნებად არის წარმოდგენილი. ეს ცნება აერთიანებს აბიტურიენტთა საგანმანათლებლო, სოციალურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ მახასიათებლებს საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში. მკვლევარები ვერ თანხმდებიან იმის შესახებ, თუ რამდენად გამართლებულია მრავალგანზომილებიანი ცნებების გამოყენება. მოწინააღმდეგეების აზრით, ასეთი ცნებები ბუნდოვანია და მათი გამოყენებით ჩატარებული ანალიზი მთავარ ცვლადში ნაკლებ ვარიაციას ხსნის, ვიდრე ის კვლევები, რომლებიც ასეთი ცნებების თითოეულ კომპონენტს ცალ-ცალკე ითვალისწინებს (Gerbing & Anderson, 1988; Hattie, 1985; Johns, 1998; Paunonen, Rothstein, & Jackson, 1999; Schneider, Hough, & Dunnette, 1996).

მრავალგანზომილებიანი ცნებების გამოყენების მომხრეები კი მიიჩნევენ, რომ ასეთი ცნებები გვეხმარებიან რთული ფენომენის მთლიანობაში წარმოსადგენაში. უფრო მეტიც, მსგავსი ცნებები მთავარ ცვლადში გაცილებით მეტ ვარიაციას ხსნიან, ვიდრე ასეთი ცნების თითოეული კომპონენტის ანალიზში ჩართვის შედეგად იქნებოდა მიღწეული (Hanisch, Hulin, & Roznowski, 1998; Hulin, 1991; Ones & Viswesvaran, 1996; Roznowski & Hanisch, 1990). წინამდებარე კვლევის მიზანია, დაადგინოს, თუ რა ზეგავლენას ახდენს გეოგრაფიული წარმოშობა, როგორც მთლიანობაში აღებული მრავალგანზომილებიანი ცნება, აბიტურიენტთა მიერ სასწავლებლების არჩევასა და პრესტიჟულ სასწავლებლებში ჩარიცხვაზე. საინტერესო იქნებოდა, ამ მრავალგანზომილებიანი ცნების თითოეული შემადგენელი კომპონენტის - საგანმანათლებლო, სოციალურ-ეკონომიური თუ კულტურული - ჩართვა ცალ-ცალკე ცვლადებად და შემდეგ შედეგების შედარება. მონაცემთა არარსებობის გამო ასეთი შესაძლებლობა ამჟამად არ გვეძლევა.

## შედეგები


### უმაღლესი სასწავლებლების არჩევა

---

როგორ ირჩევენ აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებლებს საქართველოში? რას ეფუძნება მათი არჩევანი - პროფესიულ მიზნებს თუ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ პრაგმატულ გადაწყვეტილებებს? ჰარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტი კურსდამთავრებულების წინაშე სიტყვით გამოსვლისას მანქანის გასაჩერებელი ადგილის თეორიაზე საუბრობს:

„ნუ გააჩერებთ მანქანას დანიშნულების ადგილიდან ექვსი ქუჩის მოშორებით მხოლოდ იმიტომ, რომ გეშინიათ, უფრო ახლოს გასაჩერებელ ადგილს ვერ იპოვით. დანიშნულების ადგილთან მიდით და იქ გააჩერეთ მანქანა. თუ ადგილი არ იქნება, უკან მობრუნება და ცარიელი ადგილის მოძებნა ყოველთვის შეიძლება. თუ ამ პრინციპით მიუდგებით ცხოვრებას, შეიძლება ზოგჯერ თქვენდა გასაოცრადაც კი, აღმოაჩინოთ სიახლე საკუთარ თავზე“ (Faust, 2011).

საქართველოს სოფლებში მაცხოვრებელ ოჯახებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ აბიტურიენტები იშვიათად რისკავენ იმ უნივერსიტეტების პირველ აჩვენად დასახელებას, რომლის მითითებასაც ისურვებდნენ. უნივერსიტეტის არჩევა საკმაოდ რთულ პროცესად აღიქმება, რომელიც ისეთი ფაქტორების გათვალისწინებას მოითხოვს, როგორცაა უმაღლესი სასწავლებლის ადგილმდებარეობა (მანძილი სახლიდან, საცხოვრებელი ხარჯები), სწავლის საფასური, უნივერსიტეტის პრესტიჟულობა და სასურველი პროგრამის არსებობა. დიაგრამაზე 1 წარმოდგენილია პრიორიტეტული სასწავლებლის პრესტიჟულობისა და აბიტურიენტთა გეოგრაფიული წარმოშობის კროსტაბულაცია. რაც უფრო ვინაცვლებთ მაღალმთიანი სოფლებიდან ქალაქის ტიპის დასახლებებისკენ, მით უფრო იზრდება მოთხოვნა ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტებზე. მაღალმთიანი სოფლების მოსახლე აბიტურიენტების მხოლოდ 26 პროცენტი და თბილისელი აბიტურიენტების 46 პროცენტი პრიორიტეტულ არჩევნად ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტებს ასახელებს.



**დიაგრამა 1, პრიორიტეტულად დასახელებული უმაღლესი სასწავლებლების პრესტიჟულობა აბიტურიენტების გეოგრაფიული წარმოშობის მიხედვით.**

წყარო: გამოთვლები ეფუძნება სტატისტიკის დეპარტამენტის (2009a), განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (2009b) და ეროვნული გამოცდების ცენტრის NAEC (2009 a) მონაცემებს.

მულტინომინალური ლოგისტიკური რეგრესია იქნა გამოყენებული იმის შესაფასებლად, თუ რამდენად უკავშირდება ერთნაირი ზოგადი უნარების მქონე აბიტურიენტების გეოგრაფიული წარმოშობა მათ მიერ სხვადასხვა პრესტიჟის მქონე უნივერსიტეტის პირველ არჩევნად დასახელებას (ცხრილი 2).

მულტინომინალური ლოგისტიკური რეგრესია დამოკიდებული ცვლადის თითოეული კატეგორიის წევრობის ალბათობას აფასებს. შესაბამისად, მოცემულ ხუთკატეგორიან შემთხვევაში, ინტერესის საგანია აბიტურიენტის მიერ პრიორიტეტულ არჩევნად არაპრესტიჟული, არცთუ ისე პრესტიჟული, საშუალოდ პრესტიჟული და პრესტიჟული უნივერსიტეტების დასახელების ალბათობა ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტის დასახელების ალბათობასთან მიმართებაში. ასე რომ, დამოკიდებული ცვლადისათვის რეფერენტულ კატეგორიას ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტების ჯგუფი წარმოადგენს, ხოლო ძირითადი მსაზღვრელისთვის - თბილისელი აბიტურიენტების ჯგუფი. ცხრილში 2 ნაჩვენებია ალბათობის თანაფარდობა (odds ratio) უმაღლესი სასწავლებლების პრესტიჟულობის კატეგორიის მიხედვით. ალბათობის თანაფარდობის (likelihood ratio) ტესტში ცვლილება მნიშვნელოვანია ( $\chi^2=2.82, p=.000$ ), რაც იმის მაჩვენებელია, რომ საბოლოო მოდელი

მნიშვნელოვნად ჯობია თანაკვეთის (intercept-only) მოდელს. ასოციაცია საშუალოდ ძლიერია (Nagelkerke  $R^2=.226$ ).

მულტინომინალური ლოგისტიკური რეგრესიის შედეგები (ცხრილი 2) გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მაღალია აბიტურიენტის ზოგად უნარებში მიღებული ქულა, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ აბიტურიენტმა პირველ არჩევნად დაასახელოს ყველაზე სელექციური სასწავლებელი. ერთნაირი ზოგადი უნარების მქონე ორი აბიტურიენტიდან, ის, ვინც მაღალმთიან სოფელში დაამთავრა სკოლა დედაქალაქში სკოლადამთავრებულთან შედარებით, დაახლოებით 12-ჯერ მეტი ალბათობით ირჩევს ყველაზე არაპრესტიჟულ, ვიდრე ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტს. პატარა ქალაქის ან სოფლის მაცხოვრებელი აბიტურიენტი, რომელსაც იგივე ქულა აქვს ზოგად უნარებში, რაც თბილისელ აბიტურიენტს, 5-6-ჯერ მეტი ალბათობით ირჩევს ყველაზე არაპრესტიჟულ, ვიდრე ყველაზე პრესტიჟულ სასწავლებელს. დედაქალაქელ აბიტურიენტთან შედარებით მაღალმთიან სოფელში მაცხოვრები აბიტურიენტი დაახლოებით 6-ჯერ მეტი ალბათობით ირჩევს არცთუ ისე პრესტიჟულ უნივერსიტეტს. თბილისის მაცხოვრებლებთან შედარებით, სოფლის და პატარა ქალაქების მაცხოვრებლები გაცილებით მეტი ალბათობით ირჩევენ არაპრესტიჟულ ან არცთუ ისე პრესტიჟულ, ვიდრე ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებს (ცხრილი 2).

**ცხრილი 2. პირველ არჩევნად დასახელებული სასწავლებლის პრესტიჟულობის მოდელირება მალტინომიალური რეგრესიის საშუალებით**

	არაპრესტიჟული სასწავლებლები (< მე-20 პროცენტილი) ყველაზე პრესტიჟულებთან მიმართებაში (> 80 პროცენტილი)		არც თუ ისე პრესტიჟული სასწავლებლები (20-40 პროცენტილი) ყველაზე პრესტიჟულებთან მიმართებაში (> 80 პროცენტილი)		საშუალო პრესტიჟის სასწავლებლები (40-60 პროცენტილი) ყველაზე პრესტიჟულებთან მიმართებაში (> 80 პროცენტილი)		პრესტიჟული სასწავლებლები (60-80 პროცენტილი) ყველაზე პრესტიჟულებთან მიმართებაში (> 80 პროცენტილი)	
	B	Exp(B)	B	Exp(B)	B	Exp(B)	B	Exp(B)

მაღალმთიანი სოფლებიდან (დედაქალაქთან მიმართებაში)	2.51***	12.34	1.87***	6.48	-0.52***	0.59	-0.19***	0.82
სოფლებიდან (დედაქალაქთან მიმართებაში)	1.87***	6.47	1.35***	3.86	-0.35***	0.70	-0.09***	0.91
ქალაქებიდან (დედაქალაქთან მიმართებაში)	1.64***	5.13	0.92***	2.5	-0.27***	0.76	-0.02	0.98
დიდი ქალაქებიდან (დედაქალაქთან მიმართებაში)	2.34***	10.34	1.96***	7.11	-0.33***	0.72	0.03	1.03
ზოგად უნარებში მიღებული ქულა	-0.06***	0.94	-0.05***	0.95	-0.04***	0.96	-0.03***	0.97

*ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული შენიშვნა:*

*დამოკიდებული ცვლადისათვის რეფერენტულ კატეგორიას ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტების ჯგუფი წარმოადგენს, ხოლო ძირითადი მსაზღვრელისთვის - თბილისელი აბიტურიენტები ჯგუფი.*

*წყარო: NAEC (2009b)-ის მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთებული გამოთვლები*

ის აბიტურიენტები, რომლებსაც საშუალო სკოლა დედაქალაქში არ დაუმთავრებიათ, პირველ არჩევნად ძირითადად ყველაზე არაპრესტიჟულ და არცთუ ისე პრესტიჟულ უნივერსიტეტებს ასახელებენ. ასევე, აბიტურიენტები, რომელთაც სკოლა თბილისში არ დაუმთავრებიათ, ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტებს უფრო დიდი ალბათობით ასახელებენ პირველ არჩევნად, ვიდრე პრესტიჟული და საშუალოდ პრესტიჟულ სასწავლებლებს. ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი ნათელს ჰფენს ამ ერთი შეხედვით მოულოდნელ ფაქტს.



**ცხრილი 3. უმაღლესი განათლების დაწესებულებები პრესტიჟულობისა და ადგილმდებარეობის მიხედვით.**

სასწავლებელთა რაჟირება პრესტიჟის მიხედვით	დედაქალაქში მდებარე სასწავლებელთა პროცენტი	დედაქალაქის გარეთ მდებარე სასწავლებელთა პროცენტი
ყველაზე პრესტიჟული	100	0
პრესტიჟული	100	0
საშუალო პრესტიჟის	100	0
არც თუ ისე პრესტიჟული	84	16
არაპრესტიჟული	35	65

წყარო: NAEC-ის (2006, 2007, 2008, 2009a, 2009b) მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთებული გამოთვლები

როგორც ცხრილ 3-ში ჩანს, ყველაზე პრესტიჟულ, პრესტიჟულ და საშუალოდ პრესტიჟულ კატეგორიებში მოხვედრილი ყველა უნივერსიტეტი დედაქალაქში მდებარეობს. რაც უფრო ეცემა პრესტიჟი, სტატისტიკა იცვლება; არცთუ ისე პრესტიჟული უნივერსიტეტების მხოლოდ 84 პროცენტი და არაპრესტიჟული უნივერსიტეტების მხოლოდ 35 პროცენტი მდებარეობს თბილისში. შესაბამისად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ დედაქალაქის გარეთ მაცხოვრებელი აბიტურიენტები ძირითადად ბოლო ორ კატეგორიას იმიტომაც არჩევენ, რომ ამ უნივერსიტეტების ადგილმდებარეობა დედაქალაქის გარეთ, და შესაძლებელია, მათ სახლთან უფრო ახლოსაა. თუმცა, როდესაც იმ პირველ სამ კატეგორიას შორის უწევთ არჩევანის გაკეთება, რომელიც თბილისში, ე.ი. სახლისგან შორს მდებარეობს, ისინი პრესტიჟულ და საშუალოდ პრესტიჟულ უნივერსიტეტთან შედარებით ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტებს ანიჭებენ უპირატესობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძირითადი არჩევანის გაკეთება აბიტურიენტებს დედაქალაქში და დედაქალაქის გარეთ არსებულ უმაღლეს სასწავლებლებს შორის უწევთ. მათ, ვინც პრიორიტეტულ არჩევნად თბილისში არსებულ უნივერსიტეტებს ასახელებენ, უღირთ დედაქალაქში მდებარე საუკეთესო უნივერსიტეტი დაასახელონ, მაშინ, როცა ისინი, ვისაც პრიორიტეტულ არჩევნად თბილისის უნივერსიტეტების დასახელება არ შეუძლია, არაპრესტიჟული კატეგორიების ამარა რჩებიან.

ის ფაქტი, რომ გეოგრაფიულ მდებარეობასა და პრიორიტეტული უმაღლესი სასწავლებლების პრესტიჟს შორის მნიშვნელოვანი ასოციაცია არსებობს, სწავლის საფასურის, უნივერსიტეტის ადგილმდებარეობის და პრესტიჟულობის რანგის ურთიერთკავშირის კონტექტში უნდა იქნას განხილული. ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტები ყველაზე ძვირია, ასევე მაღალია საცხოვრებელი ხარჯები იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც თბილისში არ ცხოვრობენ, რადგანაც ყველა პრესტიჟული უნივერსიტეტი დედაქალაქში მდებარეობს. უნივერსიტეტების საშუალო საფასურის სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეტად პრესტიჟულ უნივერსიტეტებში მნიშვნელოვნად მაღალია სწავლის საფასური, ვიდრე შედარებით ნაკლებ პრესტიჟულ სასწავლებლებში (დიაგრამა 2). ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სწავლის საშუალო წლიური საფასური \$2515-ის ექვივალენტია, მაშინ როცა არაპრესტიჟულ სასწავლებლებში - მხოლოდ \$928.<sup>2</sup> უნივერსიტეტების ადგილმდებარეობის მიხედვით გაკეთებული საშუალო საფასურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვანი სხვაობა არსებობს პატარა ქალაქების, დიდი ქალაქებისა და დედაქალაქის უნივერსიტეტების შორის. პატარა ქალაქებში სწავლის საშუალო საფასური \$717-ია, მაშინ, როცა დედაქალაქში სწავლა საშუალოდ \$1231 ღირს.



**დიაგრამა 2. პრესტიჟული უმაღლესი განათლების დაწესებულებების საშუალო გადასახადი**

**დიაგრამა 3. უმაღლესი განათლების განათლების საშუალო გადასახადი ადგილმდებარეობის მიხედვით**

წყარო: გამოთვლები საქსტატის (2009a), განათლების სამინისტროსა (2009b) და NAEC (2009a) მონაცემებზე დაყრდნობით.

<sup>2</sup> ქართული ეროვნული ვალუტა ლარი გადაყვანილია დოლარში 2007 წლის შუა პერიოდში არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით 1 USD = 1.67GEL (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2007)



ასე რომ, თბილისის უნივერსიტეტები უფრო ძვირი და პრესტიჟულია, ვიდრე საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლები. შესაბამისად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ დედაქალაქის გარეთ მცხოვრები აბიტურიენტები ძირითადად პრესტიჟულობის ბოლო ორ კატეგორიაში მოთავსებულ უნივერსიტეტებს იმიტომაც ირჩევენ, რომ ისინი თბილისის გარეთ, შესაძლებელია მათ სახლთან ახლოს, მდებარეობენ, სწავლის საფასური ნაკლებია და ცხოვრების საფასურიც უფრო ხელმისაწვდომი. ცხოვრების ხარჯები აბსოლუტურად განსხვავებულია მათთვის, ვინც საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან ახერხებს უნივერსიტეტში სიარულს და მათთვის, ვისაც უნივერსიტეტის გამო საცხოვრებელი ადგილის შეცვლა უწევს. დანართი 1 საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების გადანაწილებას გვიჩვენებს. ყველა უნივერსიტეტი ურბანულ ტერიტორიაზე მდებარეობს, ხოლო ზოგიერთ რაიონში ერთი უმაღლესი სასწავლებელიც კი არაა. რუკა გვიჩვენებს, რომ უნივერსიტეტში საცხოვრებელი სახლიდან სიარული მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვინც თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ახალციხეში, ზუგდიდში, რუსთავში ან ამ ქალაქებთან ახლოს მდებარე სოფლებში ცხოვრობს. ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში მაცხოვრებელ სტუდენტებს უწევთ საცხოვრებლად ამ ქალაქებში გადასვლა იმისთვის, რომ უმაღლესი განათლება მიიღონ.

საქართველოს აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლებიდან არც ერთს არ გააჩნია სტუდენტური საერთო საცხოვრებელი ან ცხოვრების ხარჯების დასაფარად განკუთვნილი რაიმე დახმარება (MES, 2011). 2007 წელს თბილისში ცხოვრების მინიმალური ხარჯი აკადემიური წლისათვის დაახლოებით \$1360-ს შეადგენდა. ეს გამოთვლა არსებობისთვის აუცილებელ ყოველთვიურ მინიმალურ ხარჯებს ეფუძნება - 64\$ საკვებზე (Geostat, 2007), 60\$ - ოთახსა და გადასახადებზე, 12\$ - ტრანსპორტზე, რაც შემდგომ 10 თვეზეა გადამრავლებული. საქართველოს პირობებში, საშუალო სოფლის მოსახლისათვის ეს თანხა სამი წლის განმავლობაში დაგროვილი საშუალო შემოსავალია. LSMS-ის 2007 წლის მონაცემების მიხედვით, სოფლებისთვის საშუალო ფინანსური შემოსავალი ურბანულ ტერიტორიებზე არსებული შემოსავლის მხოლოდ ნახევარია და თითოეულ სოფლის მოსახლეზე დაახლოებით 40\$-ს შეადგენს (World Bank, 2008).

გამოკითხული ოჯახების უმრავლესობამ საკუთარ სოფლებში უკიდურესი სიღარიბის არსებობაზე ისაუბრა. საქართველოს ოთხ რაიონში თექვსმეტ ოჯახს გავსაუბრე. მხარეების ამოსარჩევად მიზნობრივი შერჩევის ტექნიკა იქნა გამოყენებული. გაკეთდა რაიონის სიღარიბის მაჩვენებლებისა და უნივერსიტეტებში ჩაბარების თანაფარდობის რეგრესიული ანალიზი იმისთვის, რომ ნათელი

გამხდარიყო რომელ რაიონში აბარებენ აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებლებში მეტი/ნაკლები პროპორციებით იმასთან შედარებით, რაც მათი სიღარიბის დონის გათვალისწინებითაა მოსალოდნელი (დანართი 3). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის რაიონები გამოვყავი, რომლებიც შედეგების რეგრესიული ანალიზიდან გამომდინარე, დადებით ან უარყოფით გამონაკლისებს წარმოადგენს. საშუალოდ, მაღალი სიღარიბის დონის მქონე რაიონებში პროპორციულად ნაკლები აბიტურიენტი ხვდება უმაღლეს სასწავლებელში. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩემი ინტერესი შედარებით ღარიბ რაიონებზე იყო ფოკუსირებული. განაწილების 90-ე პროცენტისა და მის ზემოთ მდებარე ყველა რაიონი, ე.ი. ზედა 10 პროცენტი ყველაზე ღარიბია. ასეთი სულ რვა რაიონია. რაიონების ამ უღარიბესი 10 პროცენტიდან თითოეულში მოსახლეობის 28.4 პროცენტი ან მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფებისთვის განკუთვნილ დახმარებას იღებს (დანართი 3). გადავწყვიტე, ყურადღება ზედა 10 პროცენტში შემავალი შემდეგი ოთხეულისკენ მიმემართა - ჭიათურა, ონი, ხონი და ხულო.<sup>3</sup> შერჩეული ოთხი რაიონი ძირითადად სოფლებს მოიცავს. როგორც რუკაზე ჩანს, ყველა მათგანი დასავლეთ საქართველოში მდებარეობს (დანართი 2). ამ ოთხიდან სამი - ჭიათურა, ონი და ხულო - მთავრობის მიერ მაღალმთიან რეგიონებადაა შეფასებული საშუალო განათლების დაფინანსების გამო.

თითოეულ რაიონში ორი ტიპის ოჯახი გამოიკითხა: ოჯახი, რომლის წევრმაც ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარა და უნივერსიტეტში მოხვდა და ოჯახი, რომლის წევრმაც გამოცდები წარმატებით ვერ ჩააბარა და უმაღლესში ვერ მოხვდა. მონაწილეები აირჩა შემთხვევითი სიარულის (random walk) პრინციპით. რაიონის პირველ სოფელში ჩასვლისთანავე, ვირჩევდი პირველივე შემხვედრს და ჩემი კვლევის მიზანს ვუხსნიდი, ასევე ვთხოვდი, მიესწავლებინათ ისეთი ოჯახები, რომლებიც ჩემი კვლევის მოთხოვნებს შეესაბამებოდა - ოჯახის წევრს ერთიან ეროვნულ გამოცდებში ექნებოდა მონაწილეობა მიღებული. თითოეული რაიონის პირველი სოფელი ცენტრალურ ტრასასთან ყველაზე ახლოს მდებარეობს და,

---

<sup>3</sup> ყველაზე ღარიბი ოთხი რაიონი იმიტომ არ იქნა მხედველობაში მიღებული, რომ ქვეყნის უღარიბეს რაიონებზე ფოკუსირება სავარაუდოდ უკიდურეს შედეგებს მოგვცემდა. შერჩეულ ოთხ რაიონს - ხონი, ჭიათურა, ონი და ხულო - სიღარიბის მსგავსი, მაგრამ უმაღლესში მოხვედრილი სტუდენტების განსხვავებული მაჩვენებლები აქვს. ჭიათურიდან და ხონიდან პროპორციულად უფრო მეტი აბიტურიენტი ირიცხება უმაღლეს სასწავლებელში, ვიდრე მოსალოდნელი იქნებოდა ამ რაიონების სიღარიბის მაჩვენებლის გათვალისწინებით. ონსა და ხულოში კი - პირიქით; ამ ორი რაიონიდან პროპორციულად უფრო ნაკლები აბიტურიენტი ირიცხება უმაღლეს სასწავლებელში, ვიდრე მოსალოდნელი იქნებოდა ამ რაიონების სიღარიბის მაჩვენებლის გათვალისწინებით.

სავარაუდოდ, რაიონში პრივილეგირებულია იმ მხრივ, რომ გზებსა და ტრანსპორტზე უფრო ადვილად მიუწვდება ხელი. თითოეული ინტერვიუს დასრულებისთანავე გზას ვაგრძელებდი და შემდგომ შემხვედრთან ვიწყებდი საუბარს.

შერჩეულ რაიონებში სიღარიბის მაღალი დონის გათვალისწინებით, უნივერსიტეტების არჩევისას სოფელში მცხოვრები აბიტურიენტებისათვის ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორებად სახლთან ახლოს მდებარე სასწავლებელში სწავლა და შედარებით მცირე გადასახადი გამოიკვეთა. ამ საკითხთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მაღალჩინოსანმა შემდეგი კომენტარი გააკეთა:

"ხულოს მაღალთიანეთში ის ბავშვი არისო დაჩაგრული, რომ ამბობ, ის თბილისში არ წამოვა, ბათუმში წავა. ამიტომ ყველა იქცევა გონივრულად. რატომ გვაქვს იმის მოთხოვნა, რომ ხულოს მაღალმთიან ინვალიდ და რაღაც საშინელ ოჯახში გაზრდილ ბავშვს აქვს იმის სურვილი, რომ მოხვდეს იესემში. ამისი რეალური მოთხოვნა არა აქვს ამას იმიტომ, რომ კი არის ისეთ ოჯახში გაზრდილი, რომელსაც არა აქვს შემოსავლის მაღალი წყარო, არ ჰყავს უმაღლესდამთავრებული მშობლები, მაგრამ გონება აქვს, ხვდებოდეს, რომ ბათუმში მისთვის უფრო მომგებიანია და იქ ჩააბაროს. ამიტომ ისეთი პირობების შექმნა და ფუტურისტული საზოგადოების, სადაც ყველას შეუძლია მოხვედრა და სწავლა დღეს საქართველოში არ არის" (მინისტრის მოადგილე, 2010)

მინისტრის მოადგილეს ბუნებრივად მიაჩნია, რომ სოფელში მცხოვრები აბიტურიენტი, რომელიც „ინვალიდია“ და „რაღაც საშინელ ოჯახშია გაზრდილი“, ავტომატურად მიაშურებს ადგილობრივ და არა თბილისის უმაღლეს სასწავლებელს. იმ პირობებში როდესაც არ არსებობს გრანტი, რომელიც სტუდენტებს ცხოვრების ხარჯების დაფინანსებაში დაეხმარება, სოფელში მცხოვრებ შედარებით ნაკლები მატერიალური შესაძლებლობის მქონე აბიტურიენტებს სერიოზულად მოუწევთ ფინანსური მხარის აწონ-დაწონვა, სანამ პრიორიტეტულ არჩევნად პრესტიჟულ უნივერსიტეტს დაასახელებენ. გამოკითხული ოჯახები სოფლებიდან ამ ჰიპოთეზას ადასტურებენ. გამოკითხული ოჯახების უმეტესობამ უმაღლესი სასწავლებლის არჩევის დროს ძირითად ფაქტორებად სწავლისა და ცხოვრების ხარჯები გაითვალისწინა. მაგალითად, ერთ-ერთი სტუდენტის დედა, რომელიც დედაქალაქის გარეთ არსებულ არაპრესტიჟულ უნივერსიტეტში მოეწყო, ამბობს, რომ ქალიშვილის თბილისში გაგზავნა გაცილებით ძვირი დაუჯდებოდა, ვიდრე მისი ქუთაისში რჩენა (ჭიათურა 1, 2010). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გოგონას წმინდად ფინანსური

მიზეზების გამო ეთქვა უარი თბილისის უფრო პრესტიჟულ უნივერსიტეტში ჩაბარებაზე. როგორც განათლების მინისტრის მოადგილე აღნიშნავს:

"მოხვდა ხულოს მაღალმთიანი რაიონიდან პრესტიჟულ უმაღლესში, სადაც გადასახადი არის 16.000 ლარი. რა გადაიხდის? ამიტომ რა? რომ მოხვდეს, რა?" (მინისტრის მოადგილე, 2010).

საქართველოს ექვსი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტიდან ხუთი კერძოა, რაც ნიშნავს, რომ მათთვის დასაშვებია საჯარო უნივერსიტეტებთან შედარებით გაცილებით მაღალი სწავლის გადასახადი დააწესონ. უმაღლესში მისაღები ცენტრალიზებული სისტემის საფუძველზე კერძო და საჯარო უნივერსიტეტებს შორის სხვაობა აბიტურიენტთა მიღების თვალსაზრისით უმნიშვნელოა. იმისთვის, რომ ვაჩვენოთ როგორ განსხვავდება საჯარო უნივერსიტეტები კერძოსაგან, როდესაც საქმე სტუდენტების სელექციას ეხება, კერძო უნივერსიტეტების მიერ აბიტურიენტთა სელექციის პროცედურაში სახელმწიფოს ჩარევის ორი ფორმა უნდა განიმარტოს. პირველი, საქართველოს მთავრობა თავად არჩევს სტუდენტებს კერძო უნივერსიტეტებისათვის იმავე საერთო წესის მიხედვით, რაც საჯარო სასწავლებლებთან მიმართებაში გამოიყენება. თუ OECD-ს (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) ქვეყნებს შევადარებთ, ეს უჩვეულო პოლიტიკაა.<sup>4</sup>

მეორე, საქართველოს მთავრობა აფინანსებს არა მხოლოდ საჯარო, არამედ კერძო უნივერსიტეტებსაც. სტუდენტებს, რომლებმაც სასწავლო გრანტი მოიპოვეს, შეუძლიათ ის ნებისმიერ აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში გამოიყენონ. სტუდენტების მიღებასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული ამ ორი თავისებურების გამო, საჯარო და კერძო უნივერსიტეტებს შორის ძირითადი სხვაობა მხოლოდ სწავლის საფასურშია. საჯარო სასწავლებლებს მოეთხოვებათ სწავლის საფასური სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ფარგლებში დააწესონ, კერძო უნივერსიტეტები კი საფასურის რაოდენობას თავად განსაზღვრავენ.

შედარებისთვის, მაშინ, როცა საჯარო უნივერსიტეტებისთვის ნებადართული არ იყო წელიწადში \$1347-ზე მეტის დაწესება, ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კერძო

---

<sup>4</sup> OECD-ს ქვეყნების უმეტესობაში კერძო უნივერსიტეტებს თავად შეუძლიათ სტუდენტების მისაღები კრიტერიუმების დაწესება. ზოგ შემთხვევაში კერძო უნივერსიტეტებს ამ კრიტერიუმის ეროვნულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა უწევთ, როგორც ეს ხდება ჩინეთში, კორეაში, ახალ ზელანდიაში, პოლონეთში, პორტუგალიასა და შვეიცარიაში. ზოგჯერ კი კერძო სასწავლებლებს უწევთ, გაითვალისწინონ სახელმწიფოს რეგულაციები და მათ დაუმატონ სტუდენტების სელექციის საკუთარი კრიტერიუმები. მაგალითად, ასეთი პრაქტიკა არსებობს ნორვეგიაში გარკვეულ პროგრამებზე სტუდენტების შერჩევისას (OECD, 2008).

უნივერსიტეტში სწავლა წელიწადში \$8922 ღირდა (NAEC, 2009a). გრანტის მაქსიმალური ოდენობა \$898 იყო 2005-2008 წლებში, ხოლო \$1347 - 2009 წელს (NAEC, 2006, 2007a, 2008, 2009b). ვინაიდან ქართულ კონტექსტში სტუდენტების მიღებისა და სახელმწიფო გრანტის განაწილების მექანიზმები საჯარო და კერძო უნივერსიტეტებისათვის იდენტურია, მოცემულ კვლევაში უმაღლესი სასწავლებლების საკუთრების ტიპებზე განსაკუთრებული ყურადღება არ გამიმახვილებია. ამის ნაცვლად, ფოკუსირება სხვადასხვა უნივერსიტეტებში კონკრეტულ პროგრამებზე არსებულ სწავლის საფასურზე მოვახდინე. როგორც წინა აბზაცში განვმარტე, სწავლის საფასური ერთადერთი განსხვავებაა კერძო და საჯარო სასწავლებლებს შორის, როდესაც საქმე სტუდენტების მიღებას ეხება.

შემდეგი აბიტურიენტი ხულოში ჩავწერე, სწორედ იმ რაიონში, რომელზეც მინისტრის მოადგილე საუბრობს ინტერვიუდან მოყვანილ ციტატაში. აბიტურიენტი ერთ-ერთი დიდი ქალაქის (ბათუმის) უნივერსიტეტში ჩაირიცხა, რომელიც მის სოფელთან გაცილებით ახლოსაა, ვიდრე დედაქალაქი. გოგონა ამბობს, რომ ძალიან უნდოდა თბილისის მეტად პრესტიჟულ უნივერსიტეტში სწავლა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ოჯახი დედაქალაქში ცხოვრების ხარჯებს ვერ დაფარავდა და ამის გამო რეგისტრაციის დროს უფრო პრესტიჟული უნივერსიტეტები არც კი დაუსახელებია (ხულო 1, 2010).

ისეთ შემთხვევებში, როცა გამოკითხული ოჯახების წევრმა აბიტურიენტებმა თბილისის შედარებით პრესტიჟული უნივერსიტეტები დაასახელეს, მათ დედაქალაქში მცხოვრებ ნათესავებთან დაბინავების იმედი ჰქონდათ (ჭიათურა 2, 2010; ჭიათურა 3, 2010; ონი 1, 2010).

უნივერსიტეტებისა და პროგრამების კომბინაციის არჩევა რეგისტრაციის დროს ხდება, სანამ აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გავლენ. გადაწყვეტილების მიღება ასეთ ადრეულ ეტაპზე, როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, მარგინალურ აბიტურიენტებს არასახარბიელო მდგომარეობაში აგდებს. სოფლის ოჯახები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტის შედეგების სწორად პროგნოზირების სირთულეზე, ნაკლებხარისხიანი უნივერსიტეტების უფრო რეალისტურ არჩევნად დასახელებასა და პრესტიჟულ უნივერსიტეტებში მოხვედრის დაკარგულ შანსებზე საუბრობენ. როდესაც არსებულ რეალობაში არჩევანის გაკეთება წინასწარ უწევთ, გამოკითხული ოჯახები ამ პროცესის დროს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებაზე მიუთითებენ: უნივერსიტეტის ადგილ-მდებარეობა (მანძილი სახლამდე, ცხოვრების ხარჯები, მიმზიდველობა), სწავლის საფასური, სასწავლებლის

პრესტიჟულობა და სასურველი პროგრამის არსებობა. გამოკითხული ოჯახებიდან ყველამ, ერთი აბიტურიენტის გარდა, საკუთარი არჩევანი რამდენიმე პირთან განიხილა: ოჯახის წევრებთან, კერძო რეპეტიტორებთან, სკოლის მასწავლებლებთან და/ან კლასელებთან.

გამოცდების ეროვნული ცენტრის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ მათ მიერ მომზადებული ყოველწლიური ბროშურა აბიტურიენტებისათვის ყველა აუცილებელ ინფორმაციასა და შეთავაზებას მოიცავს. ის ამბობს, რომ მათი ცენტრი აბიტურიენტებთან შეხვედრებს მთელს ქვეყანაში აწყობს (Head of NAEC, 2010). საინტერესოა, რომ არც ერთ გამოკითხულ ოჯახს არ დაუსახელებია გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლების ვიზიტი და მათთან შეხვედრები ინფორმაციის წყაროდ. თუმცა უმეტესობამ ახსენა ყოველწლიურად განახლებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ბროშურა.

სოფლის ოჯახებთან ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ იმ ოჯახებში, სადაც დედას უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული, სწორედ მან მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა აბიტურიენტის არჩევანზე. ასე იყო ჩემს შერჩევაში სამივე ოჯახის შემთხვევაში, სადაც დედებს უმაღლესი განათლება ჰქონდათ მიღებული (ხულო 2, 2010; ონი 3, 2010; ომი 4, 2010). ასეთი შედეგი არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ არსებულ კვლევებს დედის განათლების როლზე, როცა საქმე ეხება შვილების აკადემიურ მიდრეკილებებს, მიღწევებსა და წარმატებას.

საინტერესოა, რომ ერთ-ერთი წარმატებული აბიტურიენტის დედამ ინფორმაციის ყველაზე სანდო წყაროდ სკოლის მასწავლებლები დაასახელა (ხულო 2, 2010). მშობელი, რომელიც თავადაც მასწავლებელია, აცხადებს, რომ სკოლა ერთადერთი საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრია სოფლებში და, შესაბამისად, საუკეთესო წყაროს წარმოადგენს, როდესაც უმაღლესი განათლების შესახებ რჩევას ეხება საქმე. ქალბატონის თქმით, ერთადერთი სახის ინფორმაცია, რომელზეც მასწავლებელს ხელი არ მიუწვდება, ოჯახის ფინანსური მდგომარეობაა; თუ აბიტურიენტს სასარგებლო რჩევის მიღება სურს, საკუთარი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა არ უნდა დამალოს (ხულო 2, 2010). სტუდენტი სხვა ოჯახიდან, რომელსაც ეს მასწავლებელი ასწავლიდა, ადასტურებს, რომ სკოლამ მას საუკეთესო დახმარება გაუწია; გოგონა იხსენებს, როგორ განაცხადის გაკეთების პროცესში მთელი კლასი ერთად მუშაობდა, სხვადასხვა არჩევანს განიხილავდნენ და შემდგომ მასწავლებლებთან ათანხმებდნენ (ხულო 1, 2010). უნივერსიტეტების არჩევისას

მასწავლებლების პოზიტიურ როლზე მხოლოდ ორმა ოჯახმა ისაუბრა და ეს უფრო გამონაკლისი შემთხვევები უნდა იყოს, ვიდრე ჩვეულებრივი.

ჭიათურელი სტუდენტი, რომელმაც სწავლას თავი დაანება უსახსრობის გამო, ამბობს, რომ უმაღლესში ჩაბარების პერიოდში სასწავლებლებს შორის არჩევანის გაკეთებაზე მხოლოდ კერძო რეპეტიტორებს ესაუბრებოდა. არ ახსოვს შემთხვევა, როცა ამ თემაზე სკოლის მასწავლებლებთან ჰქონდა განხილვა (ჭიათურა 4, 2010). სხვა რესპონდენტებსაც ანალოგიური გამოცდილება აღმოაჩნდათ, ისინი აღნიშნავენ, რომ სკოლის მასწავლებლები საერთოდ არ იყვნენ ინფორმირებულები, რომ მათ რაიმე სახის რჩევით დახმარებოდნენ. ერთ-ერთი სტუდენტი იხსენებს:

„შარშან არ ვიყავი ინფორმირებული და ვერ დავწერე კარგად, უნივერსიტეტები ვერ გავანაწილე. გამოუცდელი ვიყავი, არავინ არაფერს გვეუბნებოდა. მასწავლებლებს სკოლაში პასუხი არ ჰქონდათ; გაგცემდნენ, მაგრამ ვერ გაიგებდი, როგორ პასუხს გაგცემდნენ. თვითონაც არ იცოდნენ. ვერ გავიგე კარგად რა ხდებოდა, კარგად ვერ დავწერე უნივერსიტეტები, ვერ შევურჩიე ადგილები, რომელი პირველზე უნდა დამეწერა და იმიტომ ვერ მოხვდი. მერე გამოცდილება შევიძინე და უკეთესად ავირჩიე” (ჭიათურა 1, 2010).

წარუმატებელი აბიტურიენტის მამიდა ამბობს, რომ მის ძმიშვილს მასწავლებლებისთვის არაფერი უკითხავს, როცა არჩევანს აკეთებდა, რადგან მასწავლებლისგან რაიმე რჩევა არც იყო მოსალოდნელი. ეს ქალბატონი აცხადებს, რომ სოფლის მაცხოვრებლებს არანაირი ინფორმაცია არ აქვთ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე (ჭიათურა 2, 2010). მამიდა ფიქრობს, რომ ნორმალური მრჩეველი რომ ჰყოლოდა, მისი ძმიშვილი არ აირჩევდა ბიზნესის სპეციალობას და ისეთ პროგრამას მიანიჭებდა უპირატესობას, სადაც ნაკლები კონკურსი იქნებოდა და, შესაბამისად, ადვილად ჩაირიცხებოდა. დაბალკონკურსიანი პროგრამის დამთავრების შემდეგაც შეიძლება საკუთარი ბიზნესის დაწყება, ამბობს ის. თუმცა, წარუმატებელი აბიტურიენტი მამიდას არ ეთანხმება და ფიქრობს, რომ სწორად მოიქცა როდესაც პრიორიტეტულ არჩევნად ბიზნესის პროგრამა ჩაწერა, რადგან ამ სპეციალობის დაუფლება სურდა. დედა და მამიდა ამბობენ, რომ გარშემო არავინ იყო, ვისთვისაც შეიძლებოდა სხვადასხვა უნივერსიტეტებსა და პროგრამებს შორის სხვაობებზე და თითოეულის შემთხვევაში მოსალოდნელ კონკურსზე ეკითხათ (ჭიათურა 2, 2010). ამ ახალგაზრდას სათანადო კერძო რეპეტიტორიც კი არ ჰყავდა, რომ რჩევა ეთხოვა. ყველა ის რესპონდენტი, რომელსაც რეპეტიტორი ჰყავდა, სწორედ მათ მიმართავდა დახმარებისთვის უმაღლესის არჩევისას. ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების

ცენტრის ყოფილი თავმჯდომარე ადასტურებს, რომ ინფორმაციისა და რჩევის წყაროები სოფლისა და ქალაქის მაცხოვრებლებისათვის განსხვავებულია:

"ქალაქელები უფრო უკეთესად დააღაგებენ არჩევანს, რადგან ნაეკში მაინც მივლენ და იქ დახმარებას აღმოუჩენენ. პირდაპირ დაუსვამენ კითხვებს. სოფელში რეალურად მხოლოდ რეპეტიტორები ეხმარებიან" (ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრის ყოფილი თავმჯდომარე, 2010).

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის თვალსაზრისით, სკოლის მხრიდან დახმარება არც თუ ისე მნიშვნელოვანია; ის აღნიშნავს, რომ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დაბეჭდილი ბროშურა ყველანაირ რელევანტურ ინფორმაციას მოიცავს:

„ეს გაზეთი იბეჭდება იმდენი, რამდენი აბიტურიენტიცაა საქართველოში. ურიგდებათ რესურსცენტრებს და მერე სკოლებს. ის ადამიანი, რომელიც ამას წაიკითხავს და ვერ მიხვდება, უბრალოდ ვერ ჩააბარებს, აზრი არა აქვს" (მინისტრის მოადგილე, 2010)

კითხვაზე, ავითარებს თუ არა საქართველოს სკოლები მოსწავლეების წიგნიერებას იმ დონეზე, რომ სრულყოფილად შეძლონ იმის გაგება, რაც პუბლიკაციაში წერია, მინისტრის მოადგილე პასუხობს:

"იცი რა, თუ წაკითხულის აღქმას ვერ აკეთებს, იმის საქმე არაა უმაღლესი, ის ვერ ისწავლის. რატომ ვჩაგრავთ ადამიანს? იგივე, მე და თქვენ შეგვაგდონ ჩინურის გაკვეთილზე და დაგვიწყონ ჩინურად სწავლა, აღვიქვამთ იმას მომზადების გარეშე?" (მინისტრის მოადგილე, 2010)

გამოცდების ეროვნული ცენტრის თავმჯდომარესთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ზოგჯერ კრებულის ფიზიკური ხელმისაწვდომობის პრობლემაც იკვეთება:

"ეს კრებულები რიგდება რაიონებში. [...] თუ წაიკითხავს, კარგადაც გაიგებს [აბიტურიენტი], მაგრამ ხდება ისე, რომ ბევრ შემთხვევაში არ კითხულობენ, ეზარებათ ან არ უნახავთ ეს გაზეთი. ვაძლევთ რესურს-ცენტრებს და სკოლებში არიგებენ. არის შემთხვევები, როცა აბიტურიენტამდე არ მიდის, მცირე რაოდენობა" (გამოცდების ეროვნული ცენტრის თავმჯდომარე, 2010).

ასე რომ, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოშვებული ყოველწლიური საინფორმაციო ბროშურა იმისთვისაა განკუთვნილი, რომ უნვერსიტეტებისა და პროგრამების შერჩევის პროცესში ინფორმაციის ძირითადი წყაროს როლი შეასრულოს. ასევე, ცენტრის თანამშრომლები ინფორმაციის გავრცელებისა და ადგილობრივ აბიტურიენტთა დახმარების მიზნით რეგიონებშიც ჩადიან.



გამოკითხული ოჯახებიდან რამდენიმე კარგად იცნობდა ამ საინფორმაციო ბროშურებს. სამაგიეროდ, ძალიან ცოტა თუ დასწრებია ან გაუგია გამოცდების ეროვნული ცენტრის ვიზიტის შესახებ მათ რაიონში.

უმაღლესი განათლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას აბიტურიენტებს გარკვეულ რჩევას აძლევენ ოჯახები, კერძო რეპეტიტორები და სკოლის მასწავლებლები. იმის გათვალისწინებით, რომ გამოკითხული ოჯახების უმეტესობას უმაღლესი განათლების მქონე წევრი არ ჰყავდა, ასეთი რჩევის ხარისხი შესაძლოა საეჭვო იყოს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ორმა რესპონდენტმა, რომლებიც ერთსა და იმავე სკოლაში სწავლობდა, ხაზი გაუსვა სკოლის ხელშემწყობ როლს. არც ერთ სხვა აბიტურიენტს იგივე არ უხსენებია. საბოლოო ჯამში, როგორც ჩანს, კერძო რეპეტიტორები ყველაზე აქტიურად არიან ჩართულები აბიტურიენტებისთვის აუცილებელი რჩევების მიწოდებაში.


### უნივერსიტეტებში მოხვედრა

ამ ნაწილში აბიტურიენტის გეოგრაფიულ წარმომობასა და სხვადასხვა ტიპის უნივერსიტეტში ჩარიცხვის ალბათობას შორის ურთიერთკავშირია ნაჩვენები. მოცემულ საკითხს ორი კუთხით განვიხილავ. პირველი, როგორ არის დაკავშირებული პირველ არჩევნად დასახელებულ უნივერსიტეტში ჩარიცხვა აბიტურიენტის გეოგრაფიულ წარმომობასთან, და მეორე, ხვდებიან თუ არა სხვადასხვა გეოგრაფიული წარმომობის აბიტურიენტები სხვადასხვა პრესტიჟულობის მქონე უნივერსიტეტებში. ეს ორი პერსპექტივა სხვადასხვა ეპისტემოლოგიურ მიდგომას ასახავს. მაშინ როცა პირველი აბიტურიენტების ინდივიდუალური არჩევნის არსებით ღირებულებას ეხება, მეორე შედარებით პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებსა და მათში სწავლასთან ასოცირებული სიკეთეების შესახებ ემპირიულ მონაცემებზე დაფუძნებულ მსჯელობას ეყრდნობა.

პრიორიტეტულ სასწავლებელში მოხვედრა აბიტურიენტის ცხოვრებაში საკმაოდ მნიშვნელოვან მოვლენად შეგვიძლია ჩავთვალოთ. ეს არის თავისუფალი არჩევანის პირობებში ცხოვრებისეულ შესაძლებლობების კონკრეტულ უნივერსიტეტში სწავლის შანსთან დაკავშირება. თუ პირველ არჩევნად დასახელებულ სასწავლებელში ჩარიცხვის შანსები გეოგრაფიული წარმომობის მიხედვით განსხვავდება, ეს იმას ნიშნავს, რომ გეოგრაფიული წარმომობის მიხედვით განსხვავდება თავისუფალი ნების განხორციელების შანსებიც.

როგორც ზემოთ განვმარტე, კვლევები და მათ შორის წინამდებარე ნაშრომიც, აჩვენებს, რომ პრიორიტეტულ არჩევნად უნივერსიტეტის დასახელებისას აბიტურიენტის ინტერესების გარდა მთელი რიგი საკითხების გათვალისწინება ხდება: უნივერსიტეტის ადგილ-მდებარეობა (მანძილი სახლამდე, ცხოვრების ხარჯები, მიმზიდველობა), ცხოვრების საფასური და პრესტიჟულობა. შედარებით პრესტიჟულ მაღალი ხარისხის უნივერსიტეტში ჩაბარება უკეთეს ცხოვრებისეულ შესაძლებლობებთან ასოცირდება, როგორცაა სწავლის დროულად დასრულების მაღალი ალბათობა, სწავლის გაგრძელების მეტი შანსი, და შედარებით მაღალი ანაზღაურება (Brand & Halaby, 2006; Carnevale & Rose, 2003; Chevalier & Conlon, 2003; Monks, 2000; Morley & Aynsley, 2007; Rivera, 2011).

როგორც დიაგრამა 4-ზე ჩანს, სხვადასხვა გეოგრაფიული წარმოშობის სტუდენტების რაოდენობა პროპორციულად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ ვინ ჩაირიცხა პრიორიტეტულ უნივერსიტეტში. ეს განსხვავებები დედაქალაქისა და დიდი ქალაქის მაცხოვრებელი სტუდენტებისთვის 45 პროცენტიდან ქვეყნის დანარჩენ ნაწილში მაცხოვრებელი სტუდენტებისთვის 38 პროცენტამდე მერყეობს. ამგვარად, დანარჩენი საქართველოს მოსახლეობისაგან განსხვავებით, დედაქალაქისა და დიდი ქალაქების მაცხოვრებლები გაცილებით მეტი ალბათობით ხვდებიან პირველ არჩევნად დასახელებულ უმაღლეს სასწავლებლებში.




**დიაგრამა 4. პრიორიტეტულ უნივერსიტეტში მოხვედრისა და გეოგრაფიული წარმოშობის კროსტაბულაცია**

წყარო: GeoStat (2009a), MES (2009b), NAEC (2009a) მონაცემებზე დაფუძნებული გამოთვლები.

კიდევ უფრო დიდი სხვაობაა სტუდენტის გეოგრაფიულ წარმოშობასა და იმ უნივერსიტეტების პრესტიჟულობის კროსტაბულაციაში, სადაც ისინი მოხვდნენ. როგორც დიაგრამა 5-ზე ჩანს, მთელი ქვეყნის მასშტაბით აბიტურიენტების დაახლოებით 21 პროცენტი ხვდება წამყვან უნივერსიტეტებში, ხოლო 20 პროცენტი - ყველაზე დაბალი ხარისხის უნივერსიტეტებში. ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტებში<sup>5</sup> ხვდება მაღალმთიანი სოფლებიდან ჩარიცხულ სტუდენტთა მხოლოდ 9 პროცენტი და დედაქალაქიდან ჩარიცხული სტუდენტების 28 პროცენტი. დიაგრამა 5 ასევე გვიჩვენებს, რომ არაპრესტიჟულ უნივერსიტეტებში ხვდება თბილისიდან ჩარიცხული სტუდენტების მხოლოდ 8 პროცენტი, ხოლო

<sup>5</sup> კვლევისათვის ჩატარებულმა გამოთვლებმა აჩვენა, რომ ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლებია: თავისუფალი უნივერსიტეტი (2007 წლამდე ცნობილი როგორც მენეჯმენტის ევროპული სკოლა ESM- თბილისი და თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი), საქართველოს დიპლომატიური აკადემია, სამედიცინო სკოლა 'აიეტი', კავკასიის უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მაღალმთიანი სოფლებიდან კი - 39 პროცენტი. მაღალმთიანი სოფლებიდან ჩარიცხული სტუდენტების მხოლოდ ერთი-მეხუთედი და დედაქალაქელი სტუდენტების ნახევარზე მეტი ხვდება პრესტიჟულ ან ყველაზე პრესტიჟულ სასწავლებელში.



სტუდენტთა გეოგრაფიული წარმოშობა

დიაგრამა 5. სტუდენტთა პროპორციული გადანაწილება სხვადასხვა პრესტიჟის უნივერსიტეტებში სტუდენტთა წარმოშობის ადგილის მიხედვით

წყარო: გამოთვლები GeoStat (2009a), MES (2009b), NAEC (2009a) მონაცემებზე დაყრდნობით

მულტინომინალური ლოგისტიკური რეგრესია ჩატარდა იმის დასადგენად, თუ რამდენად განსაზღვრავს აბიტურიენტების გეოგრაფიული წარმოშობა მათ მოხვედრას სხვადასხვა პრესტიჟის მქონე უმაღლეს სასწავლებლებში. გამოყენებულ იქნა რეგრესიული ანალიზის უკუ-თანმიმდევრული მეთოდი (Backward stepwise regression). ის ჯგუფები მთელი პოპულაციიდან, რომლებიც არაპრესტიჟულ, არცთუ ისე პრესტიჟულ, საშუალოდ პრესტიჟულ და პრესტიჟულ უნივერსიტეტებში მოხვდნენ შედარებულ იქნა იმათთან, ვინც ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა. მულტინომინალური ლოგისტიკური რეგრესია დამოკიდებული ცვლადის თითოეული კატეგორიის წევრობის ალბათობას აფასებს. ამგვარად ხუთი კატეგორიის შემთხვევაში, ყურადღებას ვამახვილებ არაპრესტიჟულ, არცთუ ისე პრესტიჟულ, საშუალოდ პრესტიჟულ და პრესტიჟულ უნივერსიტეტებში

მოხვედრის ალბათობას ყველაზე პრესტიჟულ სასწავლებლებში ჩარიცხვის ალბათობასთან მიმართებაში. მთლიანობაში, სრული მოდელი მონაცემებს კარგად ერგება. ალბათობის თანაფარდობის (likelihood ratio) ტესტში ცვლილება მნიშვნელოვანია ( $\chi^2=6.50$ ,  $p=.000$ ), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი საბოლოო მოდელი მნიშვნელოვნად ჯობია თანაკვეთის (intercept-only) მოდელს. როგორც Nagelkerke pseudo R2 გვიჩვენებს, ასოციაცია ძალიან ძლიერია ( $R^2=.727$ ).

**ცხრილი 4. უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის მოდელირება, სასწავლებლის სასწავლებლის პრესტიჟულობის მიხედვით**

	არაპრესტიჟული სასწავლებლები (< მე-20 პროცენტილი) ყველაზე პრესტიჟულზე თან მიმართებაში (> 80 პროცენტილი)		არც თუ ისე პრესტიჟული სასწავლებლები (20-40 პროცენტილი) ყველაზე პრესტიჟულზე თან მიმართებაში (> 80 პროცენტილი)		საშუალო პრესტიჟის სასწავლებლები (40-60 პროცენტილი) ყველაზე პრესტიჟულზე თან მიმართებაში (> 80 პროცენტილი)		პრესტიჟული სასწავლებლები (60-80 პროცენტილი) ყველაზე პრესტიჟულზე თან მიმართებაში (> 80 პროცენტილი)	
	B	Exp(B)	B	Exp(B)	B	Exp(B)	B	Exp(B)
საჯარო სკოლადამთავრებულები	0.13	1.139	0.147*	1.158	0.195* **	1.216	0.079	1.082
მაღალმთიანი სოფლებიდან (დედაქალაქთან მიმართებაში)	2.03** *	7.647	1.140* **	3.126	0.540* **	1.715	0.640* **	1.896
სოფლებიდან (დედაქალაქთან მიმართებაში)	1.97** *	7.18	0.986* **	2.68	0.471* **	1.602	0.454* **	1.574
ქალაქებიდან (დედაქალაქთან მიმართებაში)	1.41** *	4.104	0.556* **	1.744	0.201* **	1.222	0.204* **	1.227
დიდი ქალაქებიდან (დედაქალაქთან მიმართებაში)	1.36** *	3.912	0.600* **	1.823	0.007	1.007	0.191* **	1.21
ბიჭები	0.76**	2.145	0.891*	2.437	0.975*	2.65	0.267*	1.306

	*		**		**		**	
2006 წელი	1.57** *	4.794	0.935* **	2.548	1.238* **	3.448	1.048* **	2.851
2007 წელი	1.01** *	2.74	0.983* **	2.672	- 0.275* **	0.76	1.426* **	4.162
2008 წელი	0.13	1.14	0.128* **	1.137	- 0.412* **	0.663	0.597* **	1.817
ქართულენოვანი სტუდენტები	-0.18	0.836	-0.238	0.788	- 0.522* **	0.593	- 0.235* **	0.791
პირველი არჩევანი - არაპრესტიჟული სასწ.	9.40** *	12043	5.85** *	345	4.59** *	98.3	3.66** *	38.89
პირველი არჩევანი - არც თუ ისე პრესტიჟული სასწ.	6.42** *	611	7.44** *	1696	3.66** *	38.8	3.80** *	44.78
პირველი არჩევანი - საშუალო პრესტიჟის სასწ.	4.14** *	63	3.85** *	47	5.02** *	150.9	2.95** *	19.06
პირველი არჩევანი - პრესტიჟული სასწ.	3.04** *	21	2.94** *	19	2.62** *	13.7	4.08** *	59.24
ზოგად უნარებში მიღებული ქულა	- 0.184* **	0.832	- 0.13** *	0.88	- 0.1***	0.908	- 0.07** *	0.94

წყარო: NAEC (2009b)-ის, GeoStat (2009a), MES (2009b) მონაცემების მიხედვით წარმოებული გამოთვლები

როგორც ზემოთწარმოდგენილ ცხრილში ჩანს, საქართველოს სოფელებში და ქალაქებში მცხოვრები სტუდენტებისათვის ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის ალბათობა ძალიან განსხვავებულია. დედაქალაქებთან შედარებით სოფლის მაცხოვრებლები დაახლოებით 7-ჯერ მეტი ალბათობით ხვდებიან ერთ-ერთ ყველაზე არაპრესტიჟულ, ვიდრე ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტში. თბილისელებს თუ შევადარებთ, პატარა და დიდ ქალაქებში მცხოვრები აბიტურიენტები დაახლოებით 4-ჯერ მეტი ალბათობით

ხვდებიან არაპრესტიჟულ უნივერსიტეტებში, ვიდრე ყველაზე პრესტიჟულებში. როდესაც ცხრილს 4 მარცხნიდან მარჯვნივ მიმართულებით ისე ვუყურებთ, რომ უნივერსიტეტთა ჯგუფების პრესტიჟი იზრდება, სხვაობები როგორც დედაქალაქსა და სხვა გეოგრაფიულ კატეგორიებს, ასევე ყველაზე პრესტიჟულ და სხვა ჯგუფებს შორის მცირდება. მაშინაც კი, როდესაც პრესტიჟულ ჯგუფს ყველაზე პრესტიჟულს ვადარებთ, აშკარაა, რომ თბილისელებისაგან განსხვავებით მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები აბიტურიენტები ორჯერ მეტი ალბათობით ხვდებიან პრესტიჟულ, ვიდრე ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტებში.

მაშინ, როდესაც ცხრილში მოყვანილი სხვა ფაქტორების გათვალისწინება ხდება, გოგონები, ქართულენოვანი აბიტურიენტები და კერძო სკოლადამთავრებულები გაცილებით მეტი ალბათობით ხვდებიან ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტებში, ვიდრე ბიჭები, ენობრივი უმცირესობები და საჯარო სკოლადამთავრებულები. გოგონებთან შედარებით, ბიჭები ორჯერ მეტი ალბათობით ხვდებიან პრესტიჟის მიხედვით დალაგებული უნივერსიტეტების ნებისმიერ ჯგუფში საუკეთესოს გარდა. სხვაობები სკოლის საკუთრების ტიპისა და ენობრივი უმცირესობის სტატუსის მიხედვით არ არის იმდენად დიდი და მნიშვნელოვანი, როგორც სხვაობები საცხოვრებელი ადგილისა და სქესის მიხედვით.

მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირი არსებობს აბიტურიენტების მიერ პრიორიტეტულ არჩევნად დასახელებული უნივერსიტეტის პრესტიჟის დონესა და იმ უნივერსიტეტის პრესტიჟის დონეს შორის, სადაც ისინი ირიცხებიან. აბიტურიენტები ძირითადად ისეთ უნივერსიტეტებში ხვდებიან, რომლებიც პრესტიჟულობის ან იმავე კატეგორიაშია, რომელიც მათი პრიორიტეტული არჩევანი იყო, ან უფრო ქვემოთ (ცხრილი 4).<sup>6</sup>

ზოგად უნარებში უფრო მაღალი ქულების მქონე აბიტურიენტები გაცილებით მეტი ალბათობით ხვდებიან ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში. ცხრილში 4 კარგად ჩანს, რომ როდესაც ყველაზე არაპრესტიჟულ კვანტილს ყველაზე პრესტიჟულს ვადარებთ, ალბათობა მცირდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც მოსალდნელია, ზოგად უნარებში ერთი ქულით განსხვავება უფრო ნაკლებ

---

<sup>6</sup> ზოგიერთი Exp(B) კოეფიციენტი ძალიან დიდია. ეს შემდეგი ფაქტორების კომბინაციის შედეგი შეიძლება იყოს: ისეთ ცვლადებს შორის, როგორცაა პრიორიტეტულ არჩევნად დასახელებული უნივერსიტეტი და ის უნივერსიტეტი სადაც აბიტურიენტები საბოლოოდ ხვდება, ძლიერ ურთიერთკავშირი არსებობს. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ პრიორიტეტად არჩეულ უნივერსიტეტი თავადვე კატეგორიალური ცვლადია (Starkweather & Herrington, 2010).

სხვაობას გვაძლევს, როდესაც უფრო პრესტიჟულ კვანტილებს ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტების ჯგუფს ვაძარებთ.

როგორც ჩანქსელიანი (2013) განმარტავს, დიზაინის მიხედვით, უმაღლესში მისაღები მთლიანად ავტომატიზირებული პროცესი შემდეგი სამი პროცედურული კომპონენტისგან შედგება: უმაღლესში მისაღებ გამოცდებში დაგროვებული ქულები; აბიტურიენტების მიერ უმაღლესი სასწავლებლების/პროგრამების არჩევა და უნივერსიტეტებში კონკრეტულ პროგრამებზე არსებული ადგილების რაოდენობა. მულტინომინალურ რეგრესიულ მოდელში (ცხრილი 4) ვაკონტროლებთ საგამოცდო წლის მიხედვით არსებულ ადგილების სხვაობებს, აბიტურიენტის მიერ გაკეთებულ არჩევანს (ნაწილობრივ, რადგან ვითვალისწინებთ მხოლოდ პირველ არჩევნად დასახელებულ უმაღლეს სასწავლებელს) და გამოცდაში მიღებულ ქულებს (ნაწილობრივ, რადგან ვითვალისწინებთ მხოლოდ ზოგადი უნარების ქულას). შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, განსხვავებები სტუდენტების გეოგრაფიული წარმოშობისა და სხვა დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით შეიძლება ასახავდეს იმ ვარიაციას საგამოცდო ქულებში და სასწავლებლების/პროგრამების არჩევანში, რომელსაც ამ მოდელში არ ვაკონტროლებთ.

## დასკვნა

წინამდებარე კვლევის მიხედვით, ის აბიტურიენტები, რომლებიც სკოლას დედაქალაქში არ ამთავრებენ, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე პირველ არჩევნად ძირითადად არაპრესტიჟულ ან არც თუ ისე პრესტიჟულ უნივერსიტეტებს ასახელებენ. აბიტურიენტების მიერ პრიორიტეტულ არჩევნად დასახელებული უნივერსიტეტების, მათი ზოგადი უნარებისა და გეოგრაფიული წარმოშობის სტატისტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ უნარებში ერთი და იმავე ქულის მქონე ორი აბიტურიენტიდან, მაღალმთიანი სოფლის მაცხოვრებელი თბილისელთან შედარებით დაახლოებით 12-ჯერ მეტი ალბათობით ირჩევს ყველაზე არაპრესტიჟულ, ვიდრე ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტს.

უმაღლესი სასწავლებლის არჩევის რთული პროცესის ზოგიერთი ასპექტის უკეთ დასანახად საქართველოს სოფლებში შეგროვებული თვისებრივი მასალა და არსებული საერთაშორისო ლიტერატურა იქნა გამოყენებული. როგორც ჩანს, როდესაც უმაღლესი განათლების მისაღებად აბიტურიენტები და მათი ოჯახები უნივერსიტეტს ირჩევენ, ისინი ითვალისწინებენ სასწავლებლის ადგილ-



მდებარეობას (მანძილი სახლამდე, საცხოვრებელი ხარჯები, მიმზიდველობა), სწავლის საფასურს, პრესტიჟს და სასურველი პროგრამის არსებობას.

კვლევამ დაადასტურა, რომ არსებობს კავშირი სტუდენტის გეორგაფიულ წარმოშობასა და იმ სასწავლებლის პრესტიჟულობას შორის, სადაც ის ერთიანი ეროვნული გამოცდებით ხვდება. როდესაც პირველ არჩევნად დასახელებული უნივერსიტეტის პრესტიჟულობის, აბიტურიენტის ზოგადი უნარების და მთელ რიგ სხვა ცვლადთა კონტროლს ვახდენთ, სოფლელი სტუდენტები მნიშვნელოვნად ნაკლები ალბათობით ხვდებიან უფრო პრესტიჟულ უნივერსიტეტებში, ვიდრე ქალაქელი სტუდენტები. თბილისელებთან შედარებით მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები სტუდენტები თითქმის 8-ჯერ მეტი ალბათობით ხვდებიან ყველაზე არაპრესტიჟულ, ვიდრე ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. სოფლებში მცხოვრები სტუდენტები თბილისელებთან შედარებით დაახლოებით 7-ჯერ მეტი ალბათობით ხვდებიან ყველაზე არაპრესტიჟულ, ვიდრე ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში.

## ავტორის შესახებ

დრ. მია ჩანქსელანი განათლების პოლიტიკის და პრაქტიკის მკვლევარია ოქსფორდის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე. მას წარმატებით აქვს განხორციელებული პროექტები საჯარო, არასამთავრობო და კერძო სექტორში; პროექტები ეხებოდა განათლების პროგრამების დიზაინს, იმპლემენტაციას და შეფასებას, როგორც საქართველოში ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. 2008-2009 წლებში ის ხელმძღვანელობდა პროფესიული განათლების დეპარტამენტს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. სხვადასხვა დროს მუშაობდა კონსულტანტად მსოფლიო ბანკში (World Bank, Washington DC, USA), ფირმაში კენტერბრიჯია ედვაიზორს (Cantabrigia Advisors, Cambridge, UK), განათლების განვითარების ცენტრში (Education Development Center, Washington DC, USA), ბავშვთა შრომის წინააღმდეგ მებრძოლ საერთაშორისო ორგანიზაციაში (International Initiative to End Child Labor, Washington DC, USA), საჯარო პოლიტიკისა და მენეჯმენტის ინსტიტუტში (Public Policy and Management Institute, Vilnius, Lithuania).

დრ. ჩანქსელიანის ექსპერტიზის სფეროა სკოლის შემდგომი განათლება - პროფესიული განათლება/გადამზადება, უმაღლესი განათლება. სხვადასხვა დროს ის მუშაობდა საერთაშორისო პროექტებზე, რომლებიც ეხებოდა შრომის ბაზრის კვლევას საქართველოში, საჯარო სექტორის მოდერნიზაციას ყაზახეთში, საჯარო-კერძო სექტორების პარტნიორობას აფრიკაში, პედაგოგიური ფაკულტეტების თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას პაკისტანში, სამოქალაქო განათლებას საქართველოში, გენდერულ თანასწორობას მოზამბიკში.

## ბიბლიოგრაფია

Avery, C., & Hoxby, C. (2003). Do and should financial aid packages affect students' college choices? *National Bureau of Economic Research Working Paper Series, No. 9482*. Retrieved from <http://www.nber.org/papers/w9482>

Black, D., & Smith, J. (2004). How robust is the evidence on the effects of college quality? Evidence from matching. *Journal of Econometrics, 121*(1-2), 99–124. doi:16/j.jeconom.2003.10.006

Brand, J., & Halaby, C. (2006). Regression and matching estimates of the effects of elite college attendance on educational and career achievement. *Social Science Research, 35*(3), 749–770. doi:16/j.ssresearch.2005.06.006

Brown, C., Varley, P., & Pal, J. (2009). University course selection and services marketing. *Marketing Intelligence & Planning, 27*(3), 310–325. doi:10.1108/02634500910955227

Carnevale, A., & Rose, S. (2003). *Socioeconomic status, race/ethnicity, and selective college admissions*. The Century Foundation. Retrieved from <http://www.eric.ed.gov/ERICWebPortal/contentdelivery/servlet/ERICServlet?accno=ED482419>

Chankseliani, M. (2013). Rural disadvantage in Georgian higher education admissions: A mixed-methods study. *Comparative Education Review (forthcoming)*.

Chevalier, A., & Conlon, G. (2003). Does it pay to attend a prestigious university? *SSRN eLibrary*. Retrieved from [http://eprints.lse.ac.uk/19477/1/Does\\_it\\_pay\\_to\\_attend\\_a\\_prestigious\\_university.pdf](http://eprints.lse.ac.uk/19477/1/Does_it_pay_to_attend_a_prestigious_university.pdf)

Chiatura 1. (2010). In-depth interview with Chiatura 1 family: Admitted applicant.

Chiatura 2. (2010). In-depth interview with Chiatura 2 family: Failed applicant.

Chiatura 3. (2010). In-depth interview with Chiatura 3 family: Failed applicant.

Chiatura 4. (2010). In-depth interview with Chiatura 4 family: Admitted applicant.

Deputy Minister. (2010). Interview with the Deputy Minister of Education and Science of Georgia.

Faust, D. (2011). *Class of 2011 baccalaureate address: "A syncopated life."* Presented at the Graduation ceremony of class 2011, Harvard University. Retrieved from [http://president.harvard.edu/speeches/faust/110524\\_bacc.php](http://president.harvard.edu/speeches/faust/110524_bacc.php)

Former Head of NCAC. (2010, September 14). Interview with the former head of the National Curriculum and Assessment Centre.

Geoland. (2008). Georgia administrative map. Mappery. Retrieved from <http://mappery.com/Georgia-Administrative-Map>

Geostat. (2007). *Data on subsistence minimum*. Tbilisi, Georgia: National Statistics Office of Georgia. Retrieved from [http://geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=179&lang=eng](http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=179&lang=eng)

GeoStat. (2009). *Statistical yearbook of Georgia 2009*. Tbilisi, Georgia: National Statistics Office of Georgia. Retrieved from [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

Gerbing, D., & Anderson, J. (1988). An updated paradigm for scale development incorporating unidimensionality and its assessment. *Journal of Marketing Research*, 25(2), 186–192. doi:10.2307/3172650

GoG. (2007). Ordinance 246. Government of Georgia. Retrieved from [http://www.government.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=95&info\\_id=2534](http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=95&info_id=2534)

Griffith, A., & Rothstein, D. (2009). Can't get there from here: The decision to apply to a selective college. *Economics of Education Review*, 28(5), 620–628. doi:10.1016/j.econedurev.2009.01.004

Hanisch, K., Hulin, C., & Roznowski, M. (1998). The importance of individuals' repertoires of behaviors: the scientific appropriateness of studying multiple behaviors and general attitudes. *Journal of Organizational Behavior*, 19(5), 463–480. doi:10.1002/(SICI)1099-1379(199809)19:5<463::AID-JOB3899>3.0.CO;2-5

Hattie, J. (1985). Methodology review: Assessing unidimensionality of tests and items. *Applied Psychological Measurement*, 9(2), 139–164. doi:10.1177/014662168500900204

Head of NAEC. (2010, September 17). Interview with the head of the National Examinations Center.

Hongbin, L., Meng, L., Shi, X., & Wu, B. (2011). Does attending elite colleges pay in China? Retrieved from [http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1849523](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1849523)

Hulin, C. (1991). Adaptation, persistence, and commitment in organizations. In M. Dunnette & L. Hough (Eds.), *Handbook of industrial and organizational psychology*. (2nd ed., pp. 445–505). Palo Alto: Consulting Psychologists Press.

James, R., Baldwin, G., & McInnis, C. (1999). *Which university? The factors influencing the choices of prospective undergraduate students*. Canberra: AGPS. Retrieved from <http://www.dest.gov.au/archive/highered/eippubs/99-3/whichuni.pdf>

Johns, G. (1998). Aggregation or aggravation? The relative merits of a broad withdrawal construct. *Journal of Organizational Behavior*, 19(5), 453–462. doi:10.1002/(SICI)1099-1379(199809)19:5<453::AID-JOB2899>3.0.CO;2-9

Khoni 4. (2010). In-depth interview with Khoni 4 family: Failed applicant.

Khulo 1. (2010). In-depth interview with Khulo 1 family: Admitted applicant.

Khulo 2. (2010). In-depth interview with Khulo 2 family: Admitted applicant.

Liu, C., Zhang, L., Luo, R., Wang, X., Rozelle, S., Sharbono, B., Adams, J., et al. (2011). Early commitment on financial aid and college decision making of poor students: Evidence from a randomized evaluation in rural China. *Economics of Education Review*, 30(4), 627–640. doi:16/j.econedurev.2011.02.003

Maringe, F. (2006). University and course choice: Implications for positioning, recruitment and marketing. *International Journal of Educational Management*, 20(6), 466–479. doi:10.1108/09513540610683711

McPherson, M., & Schapiro, M. (1998). *The student aid game: Meeting need and rewarding talent in american higher education*. Princeton University Press.

MES. (2009). EMIS data on secondary schools and school graduates. Ministry of Education and Science of Georgia.

MES. (2011, July 18). Personal communication with the Head of Higher Education Office at the MES on the provision of students with accommodation or living expenses coverage.

Monks, J. (2000). The returns to individual and college characteristics: Evidence from the National Longitudinal Survey of Youth. *Economics of Education Review*, 19(3), 279–289. doi:16/S0272-7757(99)00023-0

Morley, L., & Aynsley, S. (2007). Employers, quality and standards in higher education: Shared values and vocabularies or elitism and inequalities? *Higher Education Quarterly*, 61(3), 229–249. doi:10.1111/j.1468-2273.2007.00353.x

Mullen, F. (2010). *Barriers to widening access to higher education*. SPICe Information Centre, the Scottish Parliament. Retrieved from <http://www.scottish.parliament.uk/business/research/briefings-10/SB10-07.pdf>

- NAEC. (2006). The Unified National Examinations information booklet. National Examinations Center. Retrieved from [www.naec.ge](http://www.naec.ge)
- NAEC. (2007a). The Unified National Examinations information booklet. National Examinations Center. Retrieved from [http://www.naec.ge/files/492\\_Saregistracio-Gazeti-2007.pdf](http://www.naec.ge/files/492_Saregistracio-Gazeti-2007.pdf)
- NAEC. (2007b). *The Unified National Examinations 2007*. National Examinations Center. Retrieved from [www.naec.ge](http://www.naec.ge)
- NAEC. (2008). UNE information booklet. Retrieved from [www.naec.ge](http://www.naec.ge)
- NAEC. (2009a). The Unified National Examinations database.
- NAEC. (2009b). The Unified National Examinations information booklet. National Examinations Center. Retrieved from [www.naec.ge](http://www.naec.ge)
- National Bank of Georgia. (2007). Exchange rates of GEL and foreign currencies in 2007. Retrieved from [www.nbg.ge](http://www.nbg.ge)
- OECD. (2008). *Tertiary education for the knowledge society - OECD thematic review of tertiary education, Vol 1*. Paris: Organisation for Economic Co-operation and Development. Retrieved from [http://oecd-conference-teks.iscte.pt/downloads/OECD\\_vol1.pdf](http://oecd-conference-teks.iscte.pt/downloads/OECD_vol1.pdf)
- OECD, & World Bank. (2009). *Tertiary education in Chile* (Review of national policies for education). Organisation for Economic Co-operation and Development, World Bank.
- Ones, D., & Viswesvaran, C. (1996). Bandwidth–fidelity dilemma in personality measurement for personnel selection. *Journal of Organizational Behavior*, 17(6), 609–626. doi:10.1002/(SICI)1099-1379(199611)17:6<609::AID-JOB1828>3.0.CO;2-K
- Oni 1. (2010). In-depth interview with Oni 1 family: Admitted applicant.
- Oni 3. (2010). In-depth interview with Oni 3 family: Admitted applicant.
- Oni 4. (2010). In-depth interview with Oni 4 family: Admitted applicant.
- Paunonen, S., Rothstein, M., & Jackson, D. (1999). Narrow reasoning about the use of broad personality measures for personnel selection. *Journal of Organizational Behavior*, 20(3), 389–405. doi:10.1002/(SICI)1099-1379(199905)20:3<389::AID-JOB917>3.0.CO;2-G
- Rivera, L. (2011). Ivies, extracurriculars, and exclusion: Elite employers' use of educational credentials. *Research in Social Stratification and Mobility*. doi:10.1016/j.rssm.2010.12.001

Roznowski, M., & Hanisch, K. (1990). Building systematic heterogeneity into work attitudes and behavior measures. *Journal of Vocational Behavior*, 36(3), 361–375. doi:16/0001-8791(90)90037-3

Schneider, R., Hough, L., & Dunnette, M. (1996). Broadsided by broad traits: How to sink science in five dimensions or less. *Journal of Organizational Behavior*, 17(6), 639–655. doi:10.1002/(SICI)1099-1379(199611)17:6<639::AID-JOB3828>3.0.CO;2-9

SSA. (2009). Subsidy recipients' statistics. Retrieved from <http://www.ssa.gov.ge/index.php?id=569&lang=2>

Starkweather, J., & Herrington, R. (2010). Logisti regression. *University of North Texas Computing and Information Technology Center*. Retrieved from [http://www.unt.edu/rss/class/Jon/SPSS\\_SC/Module9/M9\\_LogReg/SPSS\\_M9\\_LogReg.htm](http://www.unt.edu/rss/class/Jon/SPSS_SC/Module9/M9_LogReg/SPSS_M9_LogReg.htm)

Turley, R. (2009). College proximity: Mapping access to opportunity. *Sociology of Education*, 82(2), 126 –146. doi:10.1177/003804070908200202

World Bank. (2008). *Georgia poverty assessment* ( No. 4440-GE). Human Development Sector Unit South Caucasus Country Unit Europe and Central Asia Region. Retrieved from <http://www.cegstar.ge/files/6.PPAREport.pdf>

Yang, X. (2010). Access to higher education for rural-poor students in China. *Educational Research for Policy and Practice*, 9(3), 193–209. doi:10.1007/s10671-010-9084-3

## დანართები

### დანართი 1. უმაღლესი განათლების დაწესებულებების განაწილება საქართველოში



წყარო: საკუთარი გამოთვლები, რომლებიც ეფუძნება Geoland (2008), და NAEC (2007b) მონაცემებს




დანართი 2. საქართველოში სიღარიბის განაწილების რუკა



წყარო: ევროპეა SSA (2009) მონაცემთა ანალიზს

დანართი 3. სიღარიბის ზღვარის და უნივერსიტეტებში ჩარიცხვის თანფარდობის მარტივი რეგრესიული ანალიზი



წყარო: საკუთარი გამოთვლები, რომლებიც ეფუძნება GeoStat, 2009a; NAEC, 2009a; SSA, 2009 მონაცემებს

დანართი 4. ურბანული ტერიტორიების კატეგორიზაცია: დედაქალაქი, დიდი ქალაქები, პატარა ქალაქები

Name of the urban area	Population	Code
Tbilisi	1106.7	5
Kutaisi	188.6	4
Batumi	122.5	4
Rustavi	117.4	4
Zugdidi	72.3	4
Gori	50.8	4
Poti	47.5	4
Samtredia	29.6	3
Khashuri	28.3	3
Senaki	28.1	3
Zestaphoni	24.5	3
Marneuli	22	3
Telavi	20.1	3
Akhaltsikhe	19.2	3
Kobuleti	18.9	3
Ozurgeti	18.3	3

---

Tskaltubo	16.8	3
Kaspi	15.3	3
Gardabani	14.1	3
Tkibuli	13.8	3
Chiatura	13.8	3
Borjomi	13.6	3
sagarejo	11.5	3
Bolnisi	11.3	3
Khoni	11	3
Gurdjaani	9.5	3
Akhalkalaki	9.4	3
Tsalendjikha	9.3	3
Kvareli	8.6	3
Akhmeta	8.4	3
Mtskheta	7.8	3
Kareli	7.6	3
Lagodekhi	7.5	3
Lanchkhuti	7.5	3
Dedoplis Tskaro	7.3	3
Dusheti	7.1	3

---

Sachkhere	6.9	3
Abasha	6.3	3
Terdjola	6.1	3
Ninotsminda	6.1	3
Tsnori	6.1	3
Khobi	5.8	3
Martvili	5.6	3
Vale	5	3
Bagdati	4.8	3
Djvari	4.8	3
Vani	4.6	3
Tetri Tskaro	3.8	3
Dmanisi	3.6	3
Oni	3	3
Ambrolauri	2.4	3
Signagi	2.3	3
Tsalka	2	3
Tsageri	1.8	3

წყარო: საქსტატი (2009a, pp. 36–37)

